

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა: კლინიკური და ტრანსლაციური
მედიცინა

გიორგი ჯანაშია

**გადაუდებელი და გეგმიური კორონარული შუნტირება მომუშავე
გულზე და პერიოპერაციული გამოსავლის პროგნოზი.**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

ხელმძღვანელი: ზურაბ ჩხაიძე

მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2019

აბსტრაქტი

გულის იშემიური დაავადების და კორონარული შუნტირების გამოსავალი დაკავშირებულია როგორც პაციენტის ინიციალურ ფაქტორებთან, ისე პოპულაციურ - დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, რაც იძლევა საფუძველს კვლევა ჩატარდეს ამ ფაქტორების გათვალისწინებით ყოველი კონკრეტული პოპულაციისათვის.

ჩვენი კვლევის მიზანია

მომუშავე გულზე გადაუდებელი და გეგმიური კორონარული შუნტირების რისკის ფაქტორების შესწავლა და გამოსავლის პროგნოზირება მომუშავე გულზე და სხმ-ის საშუალებით ჩატარებული ოპერაციების დროს.

კვლევას საფუძვლად დაედო 37-75 წწ. ასაკის 402 პაციენტის კლინიკური მასალის ანალიზი, რომელთაც 2011–2015 წლებში ჩატარდათ კორონარული შუნტირების ოპერაცია ქ.ქუთაისის ზ. ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრში, ქ. თბილისის „ალადაშვილის სახელობის კლინიკაში“ და შპს „ლანცეტში“. მათგან მომუშავე გულზე გაკეთებულია 253, ხელოვნური სისხლის მიმოქცევის (ს.ხ.მ.) გამოყენებით კი - 149 შუნტირება. სასწრაფო ოპერაცია ჩატარდა 94 პაციენტს, ხოლო გეგმიური 308 -ს.

სასწრაფო ოპერაცია შეადგენდა მომუშავე გულზე ჩატარებულ ოპერაციათა 31%-ს და სხმ-ს 11%-ს.

ჩვენი პროგნოზული მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ოპერაციამდელ და პერიოპერაციულ ფაქტორებზე, იძლევა პერიოპერაციული გართულებების პროგნოზირებისა და ლეტალობის რისკის სტრატეგიკაციის საშუალებას.

დასკვნები

1. ხელოვნური სისხლის მიმოქცევის გამოყენებით ჩატარებული ოპერაცია ზრდის პერიოპერაციული გართულებების რისკს. მომუშავე გულზე ოპერაციის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ისეთ გართულებებს, როგორებიცაა

ინტრაოპერაციული შოკი, თრომბოზი, ინფარქტი, დისექცია, ინსულტი - მაშინ, როდესაც ეს ფაქტორები გვხვდებოდა On pump-ის პაციენტთა 2-5%-ის შემთხვევაში. გარდა ამისა, On pump-ის შემთხვევაში სარწმუნოდ მეტია სისხლდენის, ფიბრილაციის, ფილტვისმიერი გართულებების, თირკმლის უკმარისობის სიხშირე. ჰოსპიტალური ლეტალობის სიხშირე ხცმ-ს და მომუშავე გულზე ოპერაციის შემდეგ შეადგენს შესაბამისად 0.03 და 0.01($p<0.0018$). ხოლო ყველა გართულების მიხედვით - 0.28 და 0.14($p<0.0007$). შუნტირებისას სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გამოყენების დროს მომუშავე გულზე ოპერაციასთან შედარებით იზრდება ისეთი გართულებების ფარდობითი შანსი, როგორებიცაა - სისხლდენა - $OR=4.48$ (95%CI:1.38-14.54);- ფიბრილაცია - $OR=6.64$ (95%CI:1.82-24.21); ფილტვისმიერი გართულებები - $OR=2.24$ (95%CI:1.19-4.21), თირკმლის უკმარისობა - $OR=8.75$ (95%CI:1.01-75.63); აგრეთვე ჰოსპიტალური ლეტალობა $OR=3.93$, (95%CI:1.57-9.89).

ყველა გართულების მიხედვით, სხმ ზრდის არაკეთილსაიმედო გამოსავლის ფარდობით შანსს - $OR=2.365$, 95%CI:1.425-3.924.

2. მომუშავე გულზე შუნტირების დროს სასწრაფო და გეგმიური ოპერაციების შემთხვევაში პერიოპერაციული გართულებების მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნება.

სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გამოყენებით ჩატარებული ოპერაციების დროს სასწრაფო ჩარევის შემთხვევაში აღინიშნება პერიოპერაციული სისხლდენის სარწმუნო მომატება - 5 (31.3%) და 5 (3.75%) - $p<0.00010$. შესაბამისად, ხელოვნური სისხლის მიმოქცევის გამოყენებით ჩატარებული ოპერაციების დროს სასწრაფო ჩარევა ზრდის სისხლდენის ალბათობას - $OR=11.64$ (95% CI: 2.92-46.44).

3. ჰოსპიტალურ ლეტალობასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს შემდეგი გართულებები: ინტრაოპერაციული შოკი - $r=0.514^{**}$; $p<0.0001$; თრომბოზი - $r=0.360^{**}$; $p<0.0001$; ინფარქტი - $r=0.208^{**}$; $p<0.0001$; სისხლდენა - $r=0.193^{**}$; $p<0.0001$; გულის მწვავე უკმარისობა - $r=0.616^{**}$; $p<0.0001$; დისექცია - $r=0.233^{**}$; $p<0.0001$; ფიბრილაცია - $r=0.610^{**}$; $p<0.0001$; პნევმონია - $r=0.119^{*}$; $p=0.017$; ფილტვისმიერი გართულებები - $r=0.161^{**}$; $p=0.001$;

4. შუნტირების პერიოპერაციული გართულებების პრედიქტორებია: ოპერაცია სხმ OR=2.33(95%CI:1.35-4.04); 45წ.-ზე ნაკლები ასაკი OR=3.12 (95%CI:1.29-7.55); მიოკარდის რეგიონალური კუმშვადობს მოშლა OR=3.72 (95%CI: 1.83-7.56); სამკარიანი სარქველის ნაკლოვანება OR =2.92(95%CI: 1.09-7.81); ტრანზიტორული იშემიური შეტევა OR = 15.66 (95%CI: 2.85-86.18)და კარდიული შოკი ანამნეზში OR = 5.42 (95% CI: 1.29-22.71).

5. ჰოსპიტალური ლეტალობის ფარდობით შანსს (გადარჩენასთან შედარებით) ზრდის: სხმ - OR=2.80(95% CI:1.03-7.57); 45 წელზე ნაკლები ასაკი - OR=4.60(95% CI:1.26-16.86); მდედრობითი სქესი - OR=4.22(95%CI:1.52-11.75); ST სეგმენტის ელევაცია - OR=5.69(95%CI:1.00-32.39); სამკარიანი სარქველის ნაკლოვანება - OR=10.66(95% CI:2.98-38.11); კრეატინინი>(110-130 $\mu\text{mol/l}$) - OR=9.98(95% CI:2.63-37.82)

ოპერაციის შემდგომი პროგნოზირებსას, პერიოპერაციული გართულებების კვლევაში გათვალისწინებით, ჰოსპიტალურ ლეტალობას განაზღვრავს როგორც პაციენტის ინიციალური მახასიათებლები, ისე პერიოპერაციული გართულებები, როგორებიცაა - მდედრობითი სქესი - OR=3.93(95% CI:(1.01-15.24); STსეგმენტის ელევაცია - OR=32.35(95%CI:4.16-251.51); გულის მწვავე უკმარისობა - OR=44.92(95%CI:9.55-211.32); პერიოპერაციული ფიბრილაცია- OR=19.90(95%CI:3.29-120.34); შრატის კრეატინინი - OR=1.03(95%CI:1.01-1.05); პნევმონია - OR=7.93(95%CI:1.70-37.09).

Abstract

Although there are a number of systems for assessment of the cardio-surgery risks, in case of the prediction of the risk factors, they differ in terms of populations, as well as in different surgical subgroups.

The aim of our research

Investigation of risk factors for urgent and planned coronary artery bypass grafting and predicting the outcome to compare on pump and off pump CABG.

Materials and methods: Retrospective data analyses research is based on 402 patients, ranging in 37-75 years of age. Operations isolated CABG were performed between January 2009 and January 2012, at West Georgian Interventional Medicine National Center Hospital, Kutaisi; Aleksandre Aladashvili Clinic, Tbilisi; and L.T.D. Lancet, Tbilisi. 253 cases were performed off-pump and 149 cases were performed on-pump CABG. Emergency operations were performed on 94 patients and 308 patients were planned procedures. Outcome was in-hospital mortality, postoperative stroke, renal failure, MI, heart failure, bleeding, intraoperative shock, thrombosis, dissection.

Conclusions

1. The operation carried out using artificial blood circulation increases the risk of perioperative complications. In the case of surgery on the heart of the operation did not have complications such as intraoperative shock, thrombosis, infarction, dissection, stroke - when these factors were found in 2-5% of patients on On pump. Furthermore, on the pump, the frequency of bleeding, fibrillation, pulmonary complications and renal insufficiency is greater. The frequency of hospital lethality after the operation of the on pump and of pump is 0.03 and 0.01($p=0.0018$). And according to all the complications - 0.28 and 0.14($p=0.0007$). Increasing chances of complications such as bleeding - OR=4.48(95%CI: 1.38-14.54) - fibrillation - OR=6.64(95%CI:1.82-24.21) Pulmonary complications - OR=2.24(95%CI:1.19-4.21), renal insufficiency - OR=8.75(95%CI:1.01-75.63); Also, hospital mortality OR=0.93(95%CI:1.57-9.89).

According to all the complications, another increases the chances of unreliable solution - OR=2.365(95%CI:1.425-3.924).

2. In case of urgent and planned operations during of pump, there is no reliable difference between periodic complications.

In case of urgent intervention during on pump, increase of perioperative bleeding a reliable - 5(31.3%) and 5(3.75%) – $p < 0.0001$. Therefore, intermittent intervention during operations carried out using artificial blood circulation increases the likelihood of bleeding - $OR = 11.64(95\%CI:2.92-46.44)$.

3. Reliable positive correlation with hospital lethality reveals the following complications: intraoperative shock - $r = 0.514^{**}$; $p < 0.0001$; Thrombosis - $r = 0.360^{**}$; $p < 0.0001$; Infarction - $r = 0.208^{**}$; $p < 0.0001$; Bleeding - $r = 0.193^{**}$; $p < 0.0001$; Acute heart failure - $r = 0.616^{**}$; $p = 0.000$; Dissection - $r = 0.233^{**}$; $p < 0.0001$; Fibrillation - $r = 0.610^{**}$; $p < 0.0001$; Pneumonia - $r = 0.119^*$; $p = 0.017$; Pulmonary complications - $r = 0.161^{**}$; $p = 0.001$

4. Predictors of perioperative complications of shunt include: On pump CABG - $OR = 2.33(95\%CI:1.35-4.04)$; age less 45 years - $OR = 3.12(95\%CI:1.29-7.55)$, Violated Regional myocardial contractility $OR = 3.72(95\%CI:1.83-7.56)$; Deficiency of three-vessel valve $OR = 2.92(95\%CI:1.09-7.81)$; Transient ischemic attack $OR = 15.66(95\%CI:2.85-86.18)$ and cardiac shock in $OR = 5.42(95\%CI:1.29-22.71)$.

5. Relative chances of hospital mortality increases (compared with survival):

On pump $OR = 2.80(95\%CI:1.03-7.57)$; Aged less than 45 - $OR = 4.60(95\%CI:1.26-16.86)$; Females - $OR = 4.22(95\%CI:1.52-11.75)$; ST-segment elevation - $OR = 5.69(95\%CI:1.00-32.39)$; Tricuspid valve regurgitation - $OR = 10.66(95\%CI:2.98-38.11)$; Serum creatinine $>(110-130\mu\text{mol/l})$ - $OR = 9.98(95\%CI:2.63-37.82)$

Taking into account perioperative complications, predictors in hospital mortality is initial characteristics of the patient and perioperative complications: female gender - $OR = 3.93(95\%CI:1.01-15.24)$ ST-segment elevation - $OR = 32.35(95\%CI:9.55-211.32)$, perioperativer fibrillation - $OR = 19.90(95\%CI:3.29-120.34)$; serum creatinine - $OR = 1.03(95\%CI:1.01-1.05)$; pneumonia - $OR = 7.93(95\%CI:1.70-37.09)$.

შინაარსი

აბსტრაქტი	I
Abstract	IV
შინაარსი	VI
ცხრილების და დიაგრამების ჩამონათვალი	VIII
აბრევიატურების ჩამონათვალი.	XI
შესავალი	1
თავი I	
ლიტერატურის მიმოხილვა..	6
თავიII	
მასალა და მეთოდები.	28
თავი III	
საკუთარი კვლევის შედეგები.	
3.1. პაციენტთა კლინიკური შეფასება	34
3.2.პერიოპერაციული გართულებების და ჰოსპიტალური ლეტალობის შედარებითი ანალიზი მომუშავე გულზე და ხელოვნური სისხლის მიმოქცევის გამოყენებით კორონარული შუნტირების დროს(On-pump vs off-pump CABG)	46
3.3. სასწრაფო და გეგმიური ოპერაციების გამოსავლის შედარებითი ანალიზი მომუშავე გულზე და ხელოვნური სისხლის მიმოქცევით ჩატარებული შუნტირების დროს.	51
3.4.კორელაციური კავშირის შეფასება პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და პერიოპერაციულ ფაქტორებს შორის.	57
3.5.პერიოპერაციული გართულებების რისკის შეფასება შუნტირების დროს.	72
3.6.ჰოსპიტალური ლეტალობის რისკის შეფასება კორონარული შუნტირების დროს.	82
3.7.შემთხვევის აღწერა.	93
თავი IV	
შედეგების განხილვა.	97

დასკვნები.....	105
პრაქტიკული რეკომენდაციები.....	107
ლიტერატურის ჩამონათვალი	108
გამოქვეყნებული ლიტერატურა.....	132

ცხრილების ჩამონათვალი

1. ცხრილი 1.1. გულის იშემიური ავადმყოფობის სტრუქტურა, საქართველო - გვ.7.
2. ცხრილი 1.2. გულის იშემიური ავადმყოფობის პრევალენტობა და ინციდენტობა საქართველოში. გვ.8
3. ცხრილი 2.1. შესწავლილ ფაქტორთა ჩამონათვალი- გვ. 29.
4. ცხრილი 3.1.1. დაზიანებული სისხლძარღვების რაოდენობის განაწილება ოპერაციული ჩარევის მიხედვით. გვ.45
5. ცხრილი 3.2.1. გართულებების სიხშირეთა სტატისტიკური შეფასება ოპერაციის ტექნიკის მიხედვით. გვ.46
6. ცხრილი 3.2.2. გართულების შეფასება ოპერაციის მეთოდის მიხედვით. გვ.47
7. ცხრილი 3.2.3. პერიოპერაციული გართულებებისა და ჰოსპიტალური ლეტალობის ფარდობითი შანსის შეფასება On pump vs Of pump. გვ.49
8. ცხრილი 3.3.1. პაციენტების განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით. გვ.
9. ცხრილი 3.3.2. პერიოპერაციული გართულებებისა და ჰოსპიტალური. გვ. ლეტალობის სიხშირეთა სტატისტიკური შეფასება კორონარული არტერიების გეგმიური და სასწრაფო შუნტირების დროს. გვ.53
10. ცხრილი 3.3.3. გართულებების სტატისტიკური ანალიზი გეგმიური და სასწრაფო ჩარევის შემთხვევაში მომუშავე გულზე ჩატარებული შუნტირების დროს. გვ.54
11. ცხრილი 3.3.4. გართულებების სტატისტიკური ანალიზი გეგმიური და სასწრაფო ჩარევის დროს სხმ-ით ჩატარებული შუნტირების დროს. გვ.55
12. ცხრილი 3.4.1. კორელაციები ჰოსპიტალურ ლეტალობასა და ინიციალურ მახასიათებლებს შორის გვ. 57
13. ცხრილი 3.4.2. კორელაციები ლეტალობასა და პერიოპერაციულ გართულებებს შორის. გვ. 60
14. ცხრილი 3.4.3. კორელაციები პერიოპერაციულ გართულებებსა და შუნტირების მეთოდს შორის. გვ.62
15. ცხრილი 3.4.4. კორელაციები პერიოპერაციულ გართულებებსა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის(1) . გვ.67

16. ცხრილი 3.4.5.კორელაციები პერიოპერაციულ გართულებებსა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის(2) . გვ.67
17. ცხრილი 3.5.1. პერიოპერაციულ გართულებებთან სიხშირეები შუნტირების დროს.გვ.72
18. ცხრილი 3.5.2. პერიოპერაციული გართულებების პრედიქტორების სტატისტიკური შეფასება შუნტირების დროს. გვ.73
19. ცხრილი 3.5.3. მარცხენა პარკუჭის შეფასება გართულებების მიხედვით. გვ.79
20. ცხრილი 3.5.4. ბიოქიმიური მაჩვენებლების საშუალო მნიშვნელობა გართულებების მიხედვით. გვ. 79
21. ცხრილი 3.5.5. ერთი მაინც გართულების ფარდობითი შანსის შეფასება რეგრესიული ანალიზის საშუალებით. გვ.81
22. ცხრილი 3.6.1. პაციენტის ინიციალური მახასიათებლების და ოპერაციული ჩარევის მეთოდების სტატისტიკური შეფასება ჰოსპიტალური ლეტალობის და კეთილსაიმედო გამოსავლის ჯგუფებში. გვ.82
23. ცხრილი 3.6.2. ლეტალობის განაწილება მარცხენა პარკუჭის მახასიათებლების მიხედვით. გვ.
24. ცხრილი 3.6.3. ლეტალობის განაწილება ბიოქიმიური მახასიათებლების მიხედვით. გვ.
25. ცხრილი 3.6.4. დაზიანებული სისხლძარღვების რაოდენობის შეფასება ლეტალობის და კეთილსაიმედო ჯგუფებში. გვ.87
26. ცხრილი 3.6.5. ლეტალობის რისკის შეფასება ინიციალური მახასიათებლების მიხედვით. გვ.87

დიაგრამების ჩამონათვალი

1. დიაგრამა 1.1.-1.4. გვ.6
2. დიაგრამა 3.1.1. სასწრაფო შუნტირების სიხშირის განაწილება ოპერაციის მიხედვით. გვ.34.
3. დიაგრამა 3.1.2. პაციენტთა განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით გვ.35
4. დიაგრამა 3.1.3. პაციენტთა განაწილება მავნე ჩვევების მიხედვით გვ.36
5. დიაგრამა 3.1.4, პაციენტთა განაწილება კომორბიდების მიხედვით. გვ.36

6. დიაგრამა 3.1.5. პაციენტების განაწილება ანამნეზის მიხედვით. გვ. 37
7. დიაგრამა 3.1.6. პაციენტთა განაწილება სარქველების რეგურგიტაციის მიხედვით. გვ. 38
8. დიაგრამა 3.1.7. სამილე არტერიების დაზიანება 50%>. გვ.38
9. დიაგრამა 3.1.8. პაციენტთა განაწილება დაზიანებული კორონარული არტერიების მიხედვით. გვ. 39
10. დიაგრამა 3.1.9. გენეტიკური დატვირთვა. გვ.40
11. დიაგრამა 3.1.10. პაციენტების განაწილება სისხლის ჯგუფისა და რეზუსის მიხედვით . გვ.40
12. დიაგრამა 3.1.11. პაციენტების განაწილება გადატანილი დაავადებების და პროცედურების მიხედვით. გვ. 41
13. დიაგრამა 3.1.12. ლაბორატორიული მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობების განაწილება. გვ. 42
14. დიაგრამა 3.1.13. ბიოქიმიური მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობები. გვ.
15. დიაგრამა 3.1.14 ტროპონინის საშუალო მნიშვნელობა. გვ.42
16. დიაგრამა 3.1.15. ლიმფოციტების განაწილება. გვ.43
17. დიაგრამა 3.2.1. გართულებისა და ჰოსპიტალური ლეტალობის სიხშირეთა განაწილება ოპერაციის მიხედვით. გვ. 48
18. დიაგრამა 3.2.2. გართულებათა სიხშირეები ოპერაციის მიხედვით. გვ. 50
19. დიაგრამა 3.3.1. გეგმიური და სასწრაფო ოპერაციების განაწილება დაზიანებული სისხლძარღვის მიხედვით. გვ. 52
20. დიაგრამა 3.5.1. **გართულების ნიშნადი პერიოპერაციული ფაქტორები გვ.78**
21. დიაგრამა 3.6.1. ჰოსპიტალური ლეტალობის ნიშნად ფაქტორთა განაწილება. გვ. 86
22. დიაგრამა 3.6.2. ჰოსპიტალური ლეტალობის სიხშირის განაწილება. გვ. სისხლძარღვების რაოდენობის მიხედვით. გვ. 90

აბრევიატურების ჩამონათვალი

სხმ - ხელოვნური სისხლის მიმოქცევა
On pump - ხელოვნური სისხლის მიმოქცევის გამოყენებით
Off pump - ოპერაცია მომუშავე გულზე
ფხვ - ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია
გ.ი.დ - გულის იშემიური დაავადება
MI - მიოკარდიუმის ინფარქტი
LM მარცხენა კორონარული არტერიის ღერო

LCX მარცხენა შემომხვევი არტერია
LAD მარცხენა წინა დაღმავალი არტერია
RPL მარჯვენა უკანა ლატერალური
RCA -მარჯვენა კორონარული არტერია
DB დიაგონალური არტერია
OM - მარგინალური არტერია
PDA - უკანა დაღმავალი არტერია
AI შუამდებარე არტერია
LCA - მარცხენა კორონარული არტერია
EF - განდევნის ფრაქცია
გიდ - გულის იშემიური დაავადება
გკდ - გულის კორონარული დაავადება
ეკგ - ელექტროკარდიოგრამა
მმი - მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი
აკშ - აორტო-კორონარული შუნტირება

შესავალი

მსოფლიოში ყოველ წელიწადს კორონარული არტერიების დაავადებებით იღუპება 7.3 მილიონი ადამიანი[194].

კორონარული არტერიების დაავადების განსაკუთრებით მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს მწვავე კორონარული სინდრომი, რომელიც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ინვალიდობასა და სიკვდილთან.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში კორონარული სისხლძარღვების ქირურგიული რევასკულარიზაცია წარმოადგენს ოქროს სტანდარტს გულის იშემიური დაავადების დროს, მულტისისხლძარღვოვანი იშემიისა და ისეთ შემთხვევებში, როდესაც პერკუტანული ანგიოპლასტიკა არ არის მისაღები სისხლძარღვების მდგომარეობის გამო[11]. იგი ამცირებს ფატალური პარკუჭოვანი არითმიების, გულის უკმარისობის პროგრესირების და მმი-ს რისკს[43].

საქართველოში 2016 წელს ჩატარდა 1644 გეგმიური და 1401 გადაუდებელი კორონარული არტერიების შუნტირება, ამასთან - წინა წელთან შედარებით, 2016 წელს კორონარული შუნტირებების რაოდენობა 12.7%-ით გაიზარდა[1].

ექსტრაკორპორალური პერფუზია, რომელიც იძლევა რთული კარდიოქირურგიული ოპერაციების ჩატარების საშუალებას, დაკავშირებულია ჰომეოსტაზის დარღვევისა და სისტემური ანთებითი რეაქციის რისკთან. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ გართულებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჩატარდეს ოპერაციები მომუშავე გულზე[139].

ლიტერატურის მიხედვით, ოპერაცია მომუშავე გულზე მნიშვნელოვნად ამცირებს სისხლის დანაკარგს, განდევნის ფრაქციის შემცირების სინდრომს, ოპერაციის შემდგომ არითმიას, ნევროლოგიურ გართულებებს[116]. თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მონაცემებიც - მომუშავე გულზე ჩატარებული ოპერაციების დროს ვლინდება ადრეული ლეტალობა და ავადობა, განსაკუთრებით ქალებში, ხოლო 10 წლიანი შედეგების მიხედვით განსხვავება არ არის[167]. ზოგიერთი კვლევის

მიხედვით, ოპერაციის შემდგომი სიკვდილობა და გართულებები ორივე მეთოდის შემდეგ იდენტური იყო, თუმცა 1 წლის შემდეგ ხელოვნური სისხლის მიმოქცევის საშუალებით ჩატარებული ოპერაციების დროს აღინიშნებოდა უკეთესი შედეგები და ტრანსპლანტატის უკეთესი განვლადობა, ამასთან - ნეიროფსიქოლოგიურ მდგომარეობებს შორის სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა[91]. მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმალური სტრატეგია ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია, ორივე მეთოდი, როგორც ჩანს, შესაძლებელია და უსაფრთხო[159], თუმცა ოპერაციის დაგეგმისას გათვალისწინებული უნდა იყოს პაციენტის საწყისი მახასიათებლები[138].

ხშირად კორონარული შუნტირება ტარდება გადაუდებელ სიტუაციებში, უხშირესად გახანგრძლივებული იშემიის, ანგიოგრაფიული პრობლემების, მრავალსისხლძარღვოვანი დაზიანებებისა და სისხლძარღვების კანგაველითი სტენტირებისათვის გამოუსადეგარობის გამო[21]. კორონარული არტერიის გადაუდებელი შუნტირება დაკავშირებულია სტაციონარში ლეტალობის[164] და გართულებების სიხშირის მომატებასთან[151], ზოგიერთი მონაცემით, ინფარქტის შემდგომი სიკვდილიანობის რისკის დამოუკიდებელ პრედიქტორს წარმოადგენს ოპერაცია ინფარქტიდან 3 დღის განმავლობაში[109]. სხვა მონაცემებით, მწვავე კორონარული სინდრომის დროს გადაუდებელი ოპერაცია მომუშვე გულზე მაღალი რისკის პაციენტებში განსაზღვრავს უკეთეს ჰოსპიტალურ და გრძელვადიან შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კარდიოქირურგიული რისკის შეფასების არა ერთი სისტემა[150], რისკის ფაქტორები როგორც პოპულაციების, ისე განსხვავებული ქირურგიული ქვეჯგუფების რისკის პროგნოზირებისას განსხვავებულია[155]. დღეისათვის ყველაზე უფრო მისაღებად ითვლება European System for Cardiac Operative Risk Evaluation (EuroSCORE)[121], თუმცა ზოგიერთი ავტორის აზრით, იგი აჩვენებს სიკვდილობის გადაჭარბებულ რისკს და ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული სხვადასხვა კლინიკებისა და ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში[31]. განსხვავებულია რისკები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაც[119].

EuroSCORE 2-ის შემთხვევაში ნაჩვენებია უფრო დაბალი ლეტალობის სიხშირე, გაზრდილია ასაკი და ქალების რაოდენობა[130], იგი ასოცირდება უფრო გაუმჯობესებულ შედეგებთან, თუმცა რისკის პროგნოზირება ევროპელ პაციენტებში ჯერ კიდევ გადაუჭრელია[74,172].

მიუხედავად მრავალი კვლევისა, აზრთა სხვადასხვაობაა კორონარული შუნტირების მეთოდების უპირატესობების, სასწრაფო კორონარული შუნტირების ჩატარების ჩვენება-უკუჩვენების შესახებ. დაავადების და ოპერაციული ჩარევის გამოსავალი დაკავშირებულია როგორც პაციენტის ინიციალურ ფაქტორებთან, ისე პოპულაციურ - დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, რაც იძლევა საფუძველს კვლევა ჩატარდეს ამ ფაქტორების გათვალისწინებით ყოველი კონკრეტული პოპულაციისათვის.

არ არის დადგენილი ხელოვნური სისხლის მიმოქცევით და მომუშავე გულზე ჩატარებული ოპერაციების გართულების რისკის ფაქტორები საქართველოს პოპულაციაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

ჩვენი კვლევის მიზანია

მომუშავე გულზე გადაუდებელი და გეგმიური კორონარული შუნტირების რისკის ფაქტორების შესწავლა და გამოსავლის პროგნოზირება მომუშავე გულზე და სხმ-ის საშუალებით ჩატარებული ოპერაციების დროს.

ამოცანები

1. კორონარული შუნტირების სამიზნე ჯგუფის პაციენტების ინიციალური მახასიათებლების შესწავლა;

2. მომუშავე გულზე და სხმ-ის საშუალებით ჩატარებული ოპერაციების გამოსავლის ალტერნატიული ანალიზი და გართულებისა და ლეტალობის ფარდობითი შანსის შეფასება;
3. გართულებისა და ლეტალობის ალტერნატიული ანალიზის ჩატარება გადაუდებელი და გეგმიური შუნტირების დროს;
4. კორელაციების დადგენა პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და კორონარული შუნტირების გართულებებს შორის;
5. პერიოპერაციული გართულებების პროგნოზირება კორონარული შუნტირების დროს.
6. ჰოსპიტალური ლეტალობის პროგნოზირება კორონარული შუნტირების დროს.

სამეცნიერო სიახლე

პირველად საქართველოში

1. შესრულდა მომუშავე გულზე და სხმ-ის საშუალებით ჩატარებული ოპერაციების გამოსავლის ალტერნატიული ანალიზი,
2. ჩატარდა გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციების გამოსავლის შედარებითი ანალიზი და რისკის შეფასება;
3. ჩატარდა კორონარული შუნტირების გართულებისა და ლეტალობის ფარდობითი შანსის შეფასება ოპერაციების ტექნიკის გათვალისწინებით;
4. განისაზღვრა კორელაციები პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და კორონარული შუნტირების გართულებებს შორის;
5. დადგინდა ჰოსპიტალური ლეტალობის პროგნოზული ფაქტორები სასწრაფო და გეგმიური კორონარული შუნტირების დროს.
6. შემუშავდა ჰოსპიტალური ლეტალობის პროგნოზირების სისტემა ქართული პოპულაციისათვის

პრაქტიკული ღირებულება


დისერტაციის შედეგები ხელს შეუწყობს გართულებების ფაქტორების დადგენას, პერიოპერაციული გართულებებისა და ლეტალობის რისკის ჯგუფის გამოყოფას და არაკეთილსაიმედო გამოსავლის პრევენციას, კორონარული შუნტირების ოპერაციების ოპტიმიზაციას.

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა

გულის იშემიური დაავადება დღემდე რჩება სიკვდილობის მთავარ მიზეზად მსოფლიოში[66] - 2015 წელს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გარდაიცვალა 17.7 მილიონი ადამიანი, მათგან 7.4 მილიონი - გულის იშემიური დაავადებით[194]. ევროპაში 75 წლამდე ასაკში განვითარებული სიკვდილობის ყველა შემთხვევის 42% მამაკაცებში და 38% ქალებში გსდ-სთანაა დაკავშირებული[3].

დიაგრამებზე 1.1-1.4. მოცემულია გიდ-ით ლეტალობის ასაკობრივი განაწილება ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში:



დიაგრამა 1.1.-1.4.

მრუდები გვიჩვენებს გიდ-ით ლეტალობის მაჩვენებელს დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და საფრანგეთში. აღინიშნება სიკვდილობის ექსპონენციალური ზრდა ასაკთან ერთად, ამასთან ზრდის ტენდენცია ქალებში გამოხატულია მამაკაცებთან შედარებით უფროს ასაკში. მამაკაცებში ყოველ 10 წელიწადში აღინიშნება ზრდა 2,3-2,7-ჯერ, ხოლო ქალებში 2,9-3,7 -ჯერ[66].

სიკვდილობის მაჩვენებელი 40 წელზე უფროს მამაკაცებსა და ქალებში შეადგეს შესაბამისად 18% და 23% და ყოველწლიურად 1,5 მილიონს ამერიკის შეერთებულ შტატებში[73].

საქართველოში გულის იშემიური დაავადებები სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობათა რაოდენობის ~18.8%-ს შეადგენს, მათ შორის სტენოკარდია – 6.8%; მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი – 1.2% და სხვა მწვავე იშემიური ავადმყოფობები – 1.6%. 2016 წელს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით დროული ჰოსპიტალიზაცია (ავადმყოფობის დაწყებიდან პირველ 24 საათში) შემთხვევათა 52.8%-ში განხორციელდა.

ცხრილი1.1.

გულის იშემიური ავადმყოფობის სტრუქტურა, საქართველო, 2016[1]

	რეგისტრირებულია წლის ბოლოს		ახალი შემთხვევები	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
გულის იშემიური ავადმყოფობა	84312	100	39402	100
<i>მათ შორის:</i>				
სტენოკარდია	26475	31.4	14299	36.3
მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	3070	3.6	4588	11.6
გულის სხვა მწვავე იშემიური ავადმყოფობა	6424	7.6	3512	8.9

გულის იშემიური ავადმყოფობის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე საქართველოში ყოველწლიურად იზრდება(ცხრილი1.2.)

გულის იშემიური ავადმყოფობის პრევალენტობა და ინციდენტობა საქართველოში[1]

	2009	2010	2011	2013	2014	2015	2016
პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	1981.8	1993.7	2080.3	1975.9	2166.8	2007.8	2266.9
ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	521.6	558.5	614.0	755.3	967.9	862.3	1059.4

კორონარული არტერიების შუნტირება წარმოადგენს იშემიური გართულებებისა და მწვავე ინფარქტის პროგრესირების პრევენციას[173]. იგი ამცირებს გულის უკმარისობისა და მიოკარდის ინფარქტის რისკს მრავალსისხლძარღვოვანი კორონარული დაზიანების დროს[43].

ამერიკაში ყოველწლიურად ტარდება რევასკულარიზაციის 395 000-ზე მეტი პროცედურა კორონარული არტერიების შუნტირებით[123]. ხშირად ეს პროცედურები ტარდება გადაუდებელ სიტუაციებში, უხშირესად გახანგრძლივებული იშემიის, ანგიოგრაფიული პრობლემების, მრავალსისხლძარღვოვანი დაზიანებებისა და სისხლძარღვების კანგავლითი სტენტირებისათვის გამოუსადეგარობის გამო[137].

საქართველოში 2016 წელს ჩატარდა 1644 გეგმიური კორონარული არტერიების შუნტირება, ლეტალობა 0(0%), გადაუდებელი - კორონარული არტერიების შუნტირება 1401, ლეტალობა 48 (3.4%). წინა წელთან შედარებით, 2016 წელს გულზე ჩატარებული ოპერაციების რაოდენობამ 29%-ით მოიმატა. ამავე პერიოდში კორონარული შუნტირებების რაოდენობა 12.7%-ით გაიზარდა[1].

მეთოდები

აორტოკორონარული შუნტირება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდს გულის იშემიური დაავადების დროს, მულტისისხლმარღვოვანი იშემიის და ისეთ შემთხვევებში, როდესაც პერკუტანული ანგიოპლასტიკა არ არის შესაფერისი[133].

შუნტირებისთვის იყენებენ გულმკერდის შიგნითა არტერიას (მამაროკორონარული შუნტირება), სხივის არტერიას (აუტოარტერიული აორტოკორონარული შუნტირება), ქვედა კიდურის დიდ კანქვეშა ვენას (აუტოვეონოზური აორტოკორონარული შუნტირება)[177].

ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატი შემუშავებული იყო 1954 წელს და წარმოადგენდა რევოლუციას კარდიოქირურგიაში[102], თუმცა მალევე გამოქვეყნდა ლიტერატურა, რომელიც მას აკავშირებდა როგორც ნეიროკოგნიტურ დისფუნქციასთან, ისე ოპერაციის შემდგომი სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომთან[134,188].

რაც შეეხება ქირურგიული სტრატეგიას, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში კორონარული შუნტირება მომუშავე გულზე გახდა შესაფერისი ალტერნატივა ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატით შუნტირებისა[148]. ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის გარეშე ჩატარებული შუნტირების უპირატესობებია:

- სისხლის უჯრედების ტრავმატიზაციის არ არსებობა;
- ოპერაციის ნაკლები ხანგრძლივობა;
- სწრაფი პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;
- იმ გართულებების არ არსებობა, რომლებიც უკავშირდება ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატს[23,50], თუმცა, მისი განხორციელება, ძირითადად რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, როდესაც კორონარული არტერიები ადვილად მისაწვდომია და გარანტირებულია ქირურგიული ანოსტომოზის ხარისხი[19,82,96,147,192]. ამავე დროს ლიტერატურის მიხედვით, მარცხენა

კორონარული არტერიის კრიტიკული სტენოზის დროს შუნტირება მომუშავე გულზე ეფექტურია და უსაფრთხო[204].

აღნიშნავენ ასევე, რომ იზოლირებული წინა დაღმავალი კორონარული არტერიის რევასკულარიზაციის დროს, ორივე მეთოდი თანაბრად უსაფრთხოა მსგავსი ქირურგიული რისკის შემთხვევაში, თუმცა პროცედურები მომუშავე გულზე უფრო მეტად მისდებია მაღალი ქირურგიული რისკის პაციენტებში[159].

ხელოვნური სისხლის მიმოქცევის საშუალებით ჩატარებული ოპერაციების დროს მიკროცირკულაციის დარღვევამ თეორიულად უნდა გამოიწვიოს მასიური სისტემური ანთებითი პასუხი[106]. ამ ანთებითი რეაქციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები მოიცავს ლეიკოციტების გააქტიურებას და პროანთებითი ციტოკინების გამოთავისუფლებას, ცვლის აზოტის მონოოქსიდის და ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების ცვლას, რამაც რიგ შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს ოქსიდაციური სტრესი[37].

ოპერაცია მომუშავე გულზე ასოცირებულია ცერებრალური ინსულტის შანსების მნიშვნელოვან შემცირებასთან სხმ CABG- სთან შედარებით. გარდა ამისა, OPCAB-ს დროს მიოკარდიუმის ინფარქტისა და ცერებრალური ინსულტის შემცირება, მნიშვნელოვნად უკავშირდება სიკვდილის რისკის პრევენციას, ვარაუდობენ, რომ OPCAB უნდა ჩატარდეს მკაცრად მაღალი რისკის მქონე პაციენტებში[100].

აზრთა სხვადასხვაობაა განმეორებითი რევასკულარიზაციის შესახებ. განმეორებითი რევასკულარიზაციის უფრო მაღალი სიხშირე დაფიქსირდა მომუშავე გულზე ჩატარებული შუნტირების შემდეგ, რაც გამოწვეულია დისტალური ანასტომოზების სიმცირით[45,110,124] და ტრანსპლანტატის უფრო მცირე გამავლობით[140,175]. ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, განმეორებითი შუნტირება მომუშავე გულზე ჩატარებული ოპერაციების შემდეგ 38%-ით მეტია, ვიდრე ხელოვნური სისხლის მიმოქცევის საშუალებით ჩატარებული ოპერაციების შემდგომ[174].

ორ მეთოდს შორის ოკლუზიის მიხედვით განსხვავება არ გამოვლინდა გრძელვადიანი შედეგების მიხედვით multi-sliced CT-ს კვლევის შედეგად (შანსების შეფარდება, 1.00; 95% სანდოობის ინტერვალი, 0.55-1.81; $P > 0,99$) [22].

სარწმუნო განსხვავება ასევე არ გამოვლინდა 7 წლიანი სიკვდილობის მიხედვითაც - 7-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი დაახლოებით 72%-ია [195].

შეფასებულია გრძელვადიანი გადარჩენის მონაცემები 5203 პაციენტში, რომლებსაც ჩაუტარდათ იზოლირებული აორტოკორონარული შუნტირება (off-pump, $n = 2333$; on-pump, $n = 2870$). გადარჩენის მონაცემები შესწავლილ იქნა 5167 პაციენტში (99.3%), დაკვირვების საშუალო ხანგრძლივობა 6.4 წელი. ორივე ჯგუფის პაციენტებში გამოვლინდა მსგავსი 30 დღიანი (შანსების შეფარდება, 0.70; 95% CI, 0.35-1.40; $P = 0.31$ - არასარწმუნოდ მცირე off-pump) და ერთ წლამდე (HR, 1.11; 95% CI, 0.74-1.65; $P = 0.62$) სიკვდილის რისკი. თუმცა, შორეული შედეგების მიხედვით, პაციენტებში, რომლებსაც ჩაუტარდათ off-pump CABG იყო საერთო სიკვდილიანობის გაცილებით მაღალი რისკი, (HR, 1.43; 95% CI 1.19-1.71; $P < 0.0001$) სხმ-სთან შედარებით [93].

შორეული შედეგების მიხედვით, პაციენტებში, რომელთაც ჩაუტარდათ შუნტირება მომუშავე გულზე, ლეტალობის მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა Møller CH-ის კვლევაში [125]. 22 კვლევის ანალიზმა, რომელიც მოიცავდა 100,000-ზე მეტ პაციენტს, აჩვენა აგრეთვე on-pump CABG-თან ასოცირებული გრძელვადიანი (5 წელზე მეტი) არაკეთილსაიმედო შედეგი [174,176].

ობსერვაციული კვლევა

11 000 ო.მ.გ. ოპერაციის შედარებამ 100 000 ს.ხ.მ-სთან აჩვენა ოპერაციული ლეტალობის სარწმუნო შემცირება (1,02%-დან 0.81%-მდე) $OR=0,81$ (95% CI: 0,70-0,91) მომუშავე გულზე ჩატარებული ოპერაციების დროს. ამავე დროს აღინიშნა ისეთი ძირითადი პერიოპერაციული გართულებების შემცირება, როგორებიცაა ჭრილობის ღრმა სტერნალური ინფექცია, სისხლისდენა, თირკმლის უკმარისობა [50]. 3000

შემთვევის განხილვის მიხედვით გამოვლინდა 3-თვიანი ლეტალობის, ინსულტის სიხშირის და კლინიკაში დაყოვნების ვადების შემცირება[163].

ოპერაცია მომუშავე გულზე ხელს უწყობს აორტაზე მანიპულაციებით გამოწვეული ემბოლიური ინსულტის, აგრეთვე კოაგულოპათიებისა და თირკმლის დისფუნქციის აცილებას[39]. იაპონიაში 2000-იანი წლებდან ოპერაციათა 60% სრულდებოდა ამ მეთოდით[165], კორეაში 2008 წლისათვის ამ მეთოდის სიხშირე შეადგენდა 66%-ს[180].

მცირე რისკის პაციენტებში ოპერაცია მომუშავე გულზე უსაფრთხოა. Lamy et al.-ის მიხედვით არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება off- და on-pump მიმართებაში 30-დღიანი სიკვდილობის, მიოკარდიუმის ინფარქტის, ინსულტის, ან თირკმლის უკმარისობის თვალსაზრისით. off-pump CABG-ის გამოყენების შედეგად შემცირდა ტრანსფუზიის სიხშირე, პერიოპერაციული სისხლდენა და ფილტვისმიერი გართულებები, თირკმლის მწვავე დაზიანება, მაგრამ გაზრდილია ადრეული რევასკულარიზაციის რისკი[104]. სხვა კვლევის მიხედვით, თირკმლის უკმარისობის თვალსაზრისით სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა[152].

არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შუნტირება მომუშავე გულზე ამცირებს ოპერაციის შემდგომ გართულებებს[45], ლეტალობის რისკს[50] და მოითხოვს ნაკლებ რესურსებს[132,147].

33 რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევის მეტაანალიზმა 17,322-ის ჩართვით აჩვენა რომ პაციენტებს off-pump CABG ჯგუფში გააჩნდათ ნაკლები ოპერაციის შემდგომი თირკმლის მწვავე უკმარისობა ვიდრე სხმ-ს ჯგუფში - შესაბამისად (19.1% და 22.2%)[47].

გართულების ცალკეულ პარამეტრებს მნიშვნელობა არ ჰქონდა, გართულების რისკის სარწმუნო მატება აღინიშნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რისკის ფაქტორების ჯამური ქულა EuroSCORE-ს მიხედვით აღემატებოდა 5-ს[208].

მწვავე კორონარული სინდრომის მქონე პაციენტებში ქირურგიული რევასკულარიზაციის ეფექტურობის შესწავლამ აჩვენა, რომ

პაციენტთა 90%-ს აღენიშნა როგორც მდგომარეობის კლინიკური სტაბილიზაცია, ისე მიოკარდის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესება. იმ პაციენტებს, რომელთაც ჩაუტარდათ ოპერაცია მომუშავე გულზე, მიოკარდის ფუნქციის გაუმჯობესება აღენიშნათ ჩარევიდან 1 თვის განმავლობაში. პაციენტთა 8%-ს - 35%-ზე ნაკლები განდევნის ფრაქციით, სხმ-ს პირობებში აღენიშნათ მარცხენა პარკუჭის სისტოლური ფუნქციის გაუარესება და ლოკალური კუმშვადობის ინდექსის მომატება ოპერაციიდან 1 თვის შემდეგ. ოპერაციის შემდგომი გართულებებიდან 9(10%) პაციენტს განუვითარდა გულის მწვავე უკმარისობა, 2 (2,3%) -ს პირველი ჯგუფიდან - არაფატალური მმი, 10 (11,4%) -ს - გულის რიტმის დარღვევა, 18 (20,6%) - ს პოსტკარდიოტომური სინდრომი, 5 (5,7%) -ს სეროზული მენინგიტი 6 (6,9%) -ს - არაფატალური სისხლდენა. ლეტალური გამოსავალი არც ერთ ჯგუფში არ აღინიშნა. მიოკარდის ქირურგიული რევასკულარიზაცია მწვავე კორონარული სინდრომის მქონე პაციენტებში წარმოადგენს მკურნალობის ეფექტურ მეთოდს. ოპერაციის წარმატება დამოკიდებულია პაციენტის საწყის მდგომარეობაზე, მიოკარდის დაზიანების მოცულობაზე, ოპერაციის რისკის ხარისხზე, რევასკულარიზაციის სისრულეზე და შუნტირების მასალის ხარისხზე[211].

ოპერაციამდე შენარჩუნებული თირკმლის ფუნქციის მქონე პაციენტებში, შუნტირების შემდგომი თირკმლისმიერი გართულებები დიაგნოსტირდება შემთხვევათა 24,1%-ში, რის პრედიქტორებადაც მიიჩნევენ ქირურგიულ ფაქტორებს, კერძოდ, ოპერაციის ხანგრძლივობას და სხმ-ს, ფხვ-ს აუცილებლობასა და ინოტროპულ მედიკამენტურ თერაპიას ოპერაციის შემდეგ - 48 სთ-ზე მეტი ხნის განმავლობაში[206].

Moller et al.-ის მიერ განხილული იყო 30-დღიანი შედეგები მაღალი რისკის პაციენტებში ყველა არაკეთილსაიმედო შემთხვევის მიხედვით (ანუ ყველა მიზეზი სიკვდილიანობა, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, გულის გაჩერება წარმატებული რეანიმაცია, გულის დაბალი წუთმოცულობის სინდრომი / კარდიოგენური შოკი, ინსულტის და კორონარული რეინტერვენცია). ორ მეთოდს შორის სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა შესაბამისად 15% და 17%; (P = 0.48)[126].

სხმ-ს გარეშე ჩატარებული შუნტირების დროს აღინიშნება აუტოტრანსპლანტატების უფრო დაბალი განვლადობა[91]. ინტრაოპერაციული ფლუორესცენტული სისტემით გამოვლინდა, რომ ამ თვალსაზრისით აუტოტრანსპლანტატების 2% არ არის დამაკმაყოფილებელი და ოპერაციის დასრულებამდე მოითხოვს რევიზიას[25]. მ.გ.ო.-ს დროს მაღალია განმორებითი ჩარევის საჭიროება ოპერაციიდან ერთი წლის განმავლობაში სხმ-ს საშუალებით ჩატარებულ შუნტირებასთან შედარებით[80].

ნევროლოგიური დაზიანება რჩება კორონარული ქირურგიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გართულებად. ინსულტისა და კომისაგან გამოიწვეული სიკვდილიანობა და გართულებები აშკარად აისახება პროცედურულ წარმატებებსა და ხარჯებზე[38]. რამდენიმე მეტა-ანალიზის კვლევაში, პოსტ-ოპერაციული ინსულტის სიხშირე ჩვეულებრივ სხმ CABG-ის შემთხვევაში მეტია, ვიდრე OPCAB- ის დროს[201,89], და შეადგენს 2-დან 3% -მდე, ხოლო OPCAB -ის შემთხვევაში სარწმუნოდ მცირდება[56]. CABG-ს შემდეგ მუდმივი ნევროლოგიური ტრაქტის დაზიანების ყველაზე ხშირი მიზეზი ემბოლიურია, ხოლო აორტის მანიპულაციის სახე განსაზღვრავს ამ მოვლენის ინდუცირებას[65,127,]. აქედან გამომდინარე, აორტის კანულირების თავიდან აცილება ხელს შეუწყობს ინსულტის პრევენციას[122]. თუმცა ჯერ ისევ გარკვეულია, ამცირებს თუ არა იგი ნევროლოგიურ გართულებებს სხმ-ით ჩატარებულ ოპერაციებთან შედარებით[79]. ნევროლოგიური ტრავმა ძირითადად გამოწვეულია აღმავალი აორტის ათეროემბოლიზაციით და დაკავშირებულია ფიქსაციის სტრატეგიასთან[53,65,]. ლიტერატურის მიხედვით, anaortic clampless ამცირებს ნევროლოგიური გართულებების სიხშირეს[28]. ასევე CABG- ის დროს აორტის მანიპულირების თავიდან აცილებამ შეიძლება შეამცირონ პერიოპერაციული ინსულტის სიხშირე[55].

აზრთა სხვადასხვაობაა ნეიროკოგნიტური დისფუნქციის თვალსაზრისით, ზოგიერთმა კვლევამ ვერ გამოავლინა განსხვავება ამ ორ მეთოდს შორის[143]. რასაც ხსნიან ოპერაციის მეთოდების გაუმჯობესებით, ან იმ ფაქტით, რომ გამორიცხვის

კრიტერიუმებში მოხვდნენ მაღალი რისკის პაციენტები(ქალები, მოხუცები, მძიმედ დაავადებულები)[167].

აორტოკორონარული შუნტირება მომუშავე გულზე დაკავშირებულია მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ფუნქციის გაუმჯობესებასთან, რაც ირიბად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩატარებული ოპერაციის ადექვატურობის შესაფასებლად. ამ დროს გიდ-ის მქონე პაციენტებში, რიგიდული დიასტოლური დისფუნქციით, უმჯობესდება მარცხენა პარკუჭის აქტიური და პასიური რელაქსაციის პარამეტრები[2014].

Wijeyesundera -ს მიერ ჩატარებულმა, რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევების მეტაანალიზმა აჩვენა, რომ მომუშავე გულზე ოპერაციების დროს ს.ხ.მ-სთან შედარებით აღინიშნება წინაგულების ფიბრილაციის, 30 დღიანი ლეტალობის და მიოკარდის ინფარქტის შემცირების ტენდენცია, ხოლო ობსერვაციულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მომუშავე გულზე ოპერაციები სარწმუნოდ ამცირებენ ფიბრილაციას (OR: 0,78; 95% CI: 0,74-0,82), 30 დღიანი ლეტალობას (OR: 0,72, 95% CI: 0,66-0,78), მიოკარდის ინფარქტს(OR: 0,66, 95% CI: 0,50-0,88). 1-2 წლის შემდეგ არის ლეტალობის შემცირების ტენდენცია, მაგრამ იზრდება განმეორებითი რევასკულარიზაციის რისკი[193].

პოსტოპერაციული შემთხვევები მოიცავს შუნტირების შემდგომ რესპირატორულ გართულებებს, სეფსისს და ენდოკარდიტს(OR, 90.4; $p < 0.0001$), კუჭნაწლავიდან სისხლდენას - პერფორაციით და მის გარეშე(OR, 38.8; $p < 0.0001$), თირკმლის უკმარისობას - (OR, 30.7; $p < 0.0001$), ინფექციას(OR, 11.3; $p < 0.0001$), პერიოპერაციულ ინსულტს - (OR, 9.3; $p < 0.0001$), სისხლდენას, აგრეთვე სისხლდენას, რომელიც საჭიროებს განმეორებით ოპერაციას, (OR, 5.5; $p < 0.0001$)[41].

8.145 პაციენტზე ჩატარებულმა ექვსი კვლევის მეტაანალიზმა აჩვენა, რომ ლეტალობა სხმ-ს ჯგუფში შეადგენდა 12.3%, ხოლო ო.მ.გ-ს ჯგუფში - 13.9% ფარდობითი შანსი (OR) 1.16 (95% [CI]: 1.02-1.32; $p = 0.03$; 13.9% vs. 12.3%)თუმცა

სარწმუნო განსხვავება არ აღმოჩნდა მიოკარდიის ინფარქტის (OR: 1.06; 95% CI: 0.91 to 1.25; $p = 0.45$; 8.4% vs. 7.9%), სტენოკარდიის (OR: 1.09; 95% CI: 0.75-1.57; $p = 0.65$; 2.3% vs. 2.1%), ინსულტის (OR: 0.78; 95% CI: 0.56-1.10; $p = 0.16$; 2.2% vs. 2.8%), რევასკულარიზაციის საჭიროების (OR: 1.15; 95% CI: 0.95-1.40; $p = 0.16$; 5.9% vs. 5.1%), თვალსაზრისით[168].

სასწრაფო

კორონარული არტერიების შუნტირებასთან დაკავშირებული ლეტალობის რისკი მწვავე მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ ჯერ კიდევ სადავოა.

3127 პირველადი იზოლირებული შუნტირების ოპერაციის შედეგების რეტროსპექტულმა შესწავლამ, რომელთა შორის 220 იყო მწვავე კორონარული სინდრომით, აჩვენა, რომ საერთო ლეტალობა სტაციონარში შეადგენდა 6,4% ($n = 14$), 2,2% იმ პაციენტებს შორის რომელთაც ჰქონდათ არასტაბილური სტენოკარდია, 9.2% - პაციენტებში არა ST ელევაციით და 8.5% - პაციენტებში ST ელევაციით. საშუალო დრო სიმპტომების გამოვლენიდან რევასკულარიზაციამდე სარწმუნოდ ნაკლები იყო გადარჩენილებში ჯგუფში STEMI-ს ჯგუფში - შესაბამისად ($5,1 \pm 2,7$ სთ) და ($11,4 \pm 3,2$ სთ) ($P < 0,0007$). ჰოსპიტალური ლეტალობის სარწმუნო პრედიქტორებს წარმოადგენდნენ: ასაკი, NYHA, განდევნის ფრაქცია < 45 , კარდიოგენული შოკი, თირკმლის დაავადება და EuroSCORE > 10 ($P < 0,0001$). პრეოპერაციული TnI არ იყო ინფორმატიული. ამრიგად 6 საათიან ინტერვალს გააჩნია პროგნოზული მნიშვნელობა[16].

მოქმედი ევროპული რეკომენდაციების მიხედვით, შუნტირება რეკომენდებულია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტიდან 3-5 დღის შემდეგ [99], ხოლო მწვავე კორონარული სინდრომის დროს რეკომენდებულია სტენტირება; რაც ეყრდნობა რეტროსპექტულ კვლევას[190], თუმცა იმ პაციენტებში, რომლებშიც ვერ ხერხდება კანგავლითი რევასკულარიზაცია ან ფიბრინოლიზისი და ადგილი აქვს მყარ ჰემოდინამიკურ არასტაბილურობას, რეკომენდებულია გადაუდებელი ქირურგია[77]. მწვავე AMI-ის მქონე პაციენტების სასწრაფო ქირურგიული რევასკულარიზაცია შესაძლებელია NSTEMI პაციენტებში, რაც იძლევა ძალიან

კარგ შედეგებს. სიკვდილიანობა STEMI პაციენტებში, განსაკუთრებით კარდიოგენური შოკის დროს, ან გაუარესებული LV- ფუნქციის დროს, მნიშვნელოვნად მაღალია[90].

ზოგიერთი მონაცემებით, კორონარული არტერიის გადაუდებელი შუნტირება დაკავშირებულია სტაციონარში სიკვდილობის და გართულებების სიხშირის მომატებასთან [77,162]; ამავე დროს ადრეული ქირურგიული რევასკულარიზაცია ხელს უწყობს ინფარქტის ზომის მინიმიზაციას, აუმჯობესებს მარჯვენა პარკუჭის ფუნქციას და აქედან გამომდინარე - პაციენტის გადარჩენის შანსს[196].

ადრეული ქირურგიული რევასკულარიზაციის უპირატესობა მოიცავს მიოკარდის ინფარქტის ზონის შემცირებასა და კლინიკაში ყოფნის დანახარჯების შემცირებას. მაღალი რისკის პაციენტებში ოპერაციის ლოდინის პერიოდში აღინიშნება ლეტალობის გამომწვევი ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა გულის მწვავე უკმარისობა, მმი-ს რეციდივი[44]. მეორეს მხრივ ოპერაციამ ინფარქტიდან ადრეულ პერიოდში შეიძლება გამოიწვიოს მიოკარდის დამატებითი დაზიანება[15,109]. აქედან გამომდინარე, საჭიროა დადგინდეს ოპერაციის ჩატარების ოპტიმალური ვადები ინფარქტის შემდეგ, გამოკვლევულ იქნას სხვა ფაქტორები, რომლებიც ახდენენ გავლენას გამოსავლის პროგნოზზე ასეთი ოპერაციის დროს[136,187].

მმი-ით პაციენტებისათვის ურგენტული კორონარული შუნტირება ნაჩვენებია, თუ კორონარული არტერიების დაზიანების ხარისხი შეუსაბამოა PCI-ის განხორციელებისათვის და ვლინდება იშემიის მიმდინარე ან განმეორებითი სიმპტომები, ან კარდიოგენური შოკი, ან გულის მძიმე უკმარისობა ან მაღალი რისკის მდგომარეობის სხვა კლინიკური მტკიცებულებები[16,49,64].

გადაუდებელი აორტოკორონარული შუნტირება STEMI-ის სიმპტომების განვითარებიდან 6 საათის განმავლობაში შეიძლება განხილული იქნას იმ პაციენტებისათვის, რომლებსაც არ აღენიშნებათ კარდიოგენური შოკი და არ წარმოადგენენ PCI-ის ან ფიბრინოლიზური მკურნალობის კანდიდატებს. STEMI-ით პაციენტებისათვის ურგენტული კორონარული შუნტირება რეკომენდებულია გულის მექანიკური დეფექტების ოპერაციული აღდგენის ღონისძიებების ჩატარებისას,

როგორებიცაა პარკუჭთაშუა ძგიდის რუპტურა, მიტრალური სარქველის უკმარისობა[48,158,166,178,]; ასეთ შემთხვევებში შუნტირება კეთდება შოკის დროსაც, რამდენადაც ამ დროს ლეტალობის რისკი მსგავსია[120,191].

ლიტერატურაში გადაუდებელი შუნტირების დროს პაციენტთა 7%-ში აღნიშნავენ არალეტალურ სისხლდენას[211]. თუმცა ურგენტული ქირურგიული ჩარევის განხორციელება დროის მოკლე პერიოდში შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს - განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც რევასკულარიზაციის სარგებელი სჭარბობს სისხლდენის რისკს.

ხშირად სისხლდენის შემთხვევების მაღალი სიხშირე დაკავშირებულია პრასუგრელის გამოყენებასთან. ამდენად, STEMI-ით პაციენტებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ურგენტული კორონარული შუნტირების ჩატარებას მწვავე მდგომარეობაში ჰოსპიტალიზაციის პერიოდში, შერჩეული უნდა იქნას ალტერნატიული ანტითრომბოციტული მკურნალობის სტრატეგია[3].

ლიტერატურაში მოყვანილი კორონარული შუნტირების შედეგები მწვავე კორონარული სინდრომის დროს მნიშვნელოვნად ვარიებს სხვადასხვა პოპულაციების, ოპერაციის სხვადასხვა ვადებისა და განსხვავებული ჰემოდინამოკური სტატუსის მიხედვით, ამიტომ ქირურგიული კონცეფციების შედარება თითქმის შეუძლებელია, თუმცა თითქმის ყელა შემთხვევაში ჰოსპიტალური გადარჩენა > 95%.

ლეტალობის და გართულებების რისკი

გართულებისა და სიკვდილობის რისკის ფაქტორების შესახებ კორონარული შუნტირების დროს დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა[198].

აორტო-კორონარული შუნტირების შესახებ ACC/AHA რეკომენდაციის ავტრები (2004წ) თვლიან, რომ ლეტალობისა და გართულებების სიხშირეზე შუნტირების ოპერაციის შემდეგ თანაბრად მოქმედებს 3 ფაქტორი: პაციენტის საწყისი მდგომარეობა, კლინიკაში კარდიოქირურგიული ოპერაციების რაოდენობა და სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის ორგანიზაცია[.]

რამდენიმე ათასი პაციენტის რეგისტრის შესწავლამ რეგიონებში, სადაც კლინიკებში ტარდება წელიწადში 200 ოპერაციაზე მეტი, იმ კლინიკებთან შედარებით, სადაც ტარდება 200 ოპერაციამდე აჩვენა, რომ შუნტირების ოპერაციის შემდგომი გართულებები და ლეტალობა სარწმუნოდ ნაკლებია. იგივე დაადასტურა რუსეთში 2006 წელს ჩატარებულმა კვლევამაც[213].

შუნტირება კომორბიდული სპექტრის პაციენტებში ჯერ კიდევ დაკავშირებულია გართულების მომეტებულ რისკთან და ჰოსპიტალური ლეტალობის გაზრდასთან. ორი ან რამდენიმე ქრონიკული დაავადების თანხვედრამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუარესოს ოპერაციული მკურნალობის პროგნოზი[207].

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ გაზარდა შუნტირების ჩვენებები უფრო რთული პაციენტებისათვის[200].

ოპერაციის შემდეგ ლეტალობის საერთო სიხშირე შეადგენს 2-3%-ს, ხოლო ახალგაზრა პაციენტებში თანდართული პათოლოგიების გარეშე - 1%-ს[212]. ჰოსპიტალურ ლეტალობაზე მოქმედი ფაქტორებია ასაკი >70წ, მდებრობითი სქესი, დაბალი განდევნის ფრაქცია, განმეორებითი შუნტირება, გადაუდებელი შუნტირება, მარცხენა კორონარული არტერიის სტენოზი >70%-ზე ან სხვა მთავარი კორონარული არტერიების ექვივალენტური სტენოზი. დამატებითი ფაქტორებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი გააჩნია შაქრიან დიაბეტს, პერიფერიული არტერიების დაზიანებას, თირკმლის ქრონიკულ უკმარისობას[12].

არასაკეთილსაიმედო გამოსავლის და გართულებების პრედიქტორებს წარმოადგენენ სასწრაფო ოპერაცია, კარდიოგენული შოკი, ტრანსმურალური მმი, მდებრობითი სქესი, ასაკი, თირკმლის უკმარისობა, ჰიპო-ჰიპერტენზია, მრავალ სისხლმარღვოვანი დაზიანება, მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია, გადატანილი შუნტირება[52,69,108].

იაპონიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 7133 ოპერაციიდან 47,2% პაციენტს ჰქონდა შაქრიანი დიაბეტი, 14,0% იყო სასწრაფო ოპერაცია, 15,6% - ჰქონდა პერიფერიული სისხლმარღვების დაავადებები. 30 დღიანი და პერიოპერაციული ლეტალობა შეადგენდა შესაბამისად 2,02% და 2,72%-ს, სარწმუნო რისკის ფაქტორებს

მაღალი შანსების ფარდობით წარმოადგენდნენ: გადაუდებელი მდგომარეობა(3,71), მაღალი კრეატინინი > 3,0 მგ / დლ (3,59 მაღალი აორტის სარქველის სტენოზი(3,01), ფილტვების ზომიერი და მძიმე ქრონიკული დაავადებები (2,86)[128].

ფილტვის ქრონიკული დაავადებები დაკავშირებული აღმოჩნდა ერთწლიან ლეტალობასთან[144].

კორონარული არტერიების დაავადება დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა მამაკაცთა დაავადებად, თუმცა დღეისათვის იგი წარმოადგენს ქალთა ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითად პრობლემას[4,74]. აშშ-ში და შეადგენს ქალთა სიკვდილიანობის დაახლოებით 1/3-ს[68]. შუნტირება წარმატებით ხორციელდება ქალებში, რომლებიც შეადგენენ იმ პაციენტების 30%-ს, რომელთაც უტარდებათ მიოკარდის რევასკულარიზაცია[111]. ზოგიერთი კვლევის მიხედვით შუნტირების შემდგომი ადრეული ავადობა და ლეტალობა ქალებში, მამაკაცებთან შედარებით მეტი აღმოჩნდა[13,33,40,146,170,14]. თუმცა კვლევები, რომლებიც აფასებდნენ სქესის, როგორც დამოუკიდებელი პრედიქტორის ზემოქმედებას ოპერაციის შემდგომ ადრეულ ლეტალობასა და გართულებებზე, იძლევიან განსხვავებულ შედეგებს [61,71,98,161,154,58,123,141,184], ზოგიერთი მონაცემებით, ასაკოვან პაციენტები ქალთა სქესი არ წარმოადგენს გართულების პრედიქტორს[197].

80 წელზე უფროსი ასაკის პირებში აღნიშნავენ გართულებათა და ლეტალობის თანაბარ სიხშირეს ორივე სქესის პირებში[30]. OPCAB ასოცირდება ლეტალობის სარწმუნო შემცირებასთან (adjusted odds ratio [AOR], 0.68; $p = 0.045$), მცირდება ინსულტი (AOR, 0.48; $p < 0.001$), და MACE (AOR, 0.66; $p = 0.018$). მდებრობითი სქესი ასოცირდება ლეტალობის მაღალ სიხშირესთან (AOR, 1.93), ინსულტთან (AOR, 1.82), მიოკარდის ინფარქტთან (AOR, 2.19), და MACE (AOR, 1.97; each $p < 0.001$). ლეტალობა მცირდება OPCAB-ს დროს ($p = 0.04$). ლეტალობის ფარდობითი შანსი ქალებში CPB დროს OPCAB-სთან შედარებით სარწმუნოდ მაღალია (AOR, 2.07, $p = 0.005$). ლეტალობის შანსი მამაკაცებში CPB-ს დროს არასარწმუნოდ მაღალია OPCAB-თი მკურნალობასთან შედარებით (AOR, 1.16, $p = 0.51$). მამრობითი სქესი ასოცირდება მეტ სიცოცხლის ხანგრძლივობასთან, ($p =$

.011), თუმცა ქირურგიული ჩარევის ტიპს (OPCAB vs CPB) მნიშვნელობა არ აქვს ($p = 0.23$)[145]. ამრიგად, გენდერული სხვაობის როლი შუნტირების გამოსავალზე დღემდე სადავოა.

არსებობს კავშირი პერიოპერციულ ტროპონინის კონცენტრაციასა და სიკვდილიანობას შორის[115]. ტროპონინისა და კრეატინინაზის მატება წარმოადგენს სიკვდილობის პრედიქტორს[54].

ასაკი

უკანასკნელ ხანებში აღინიშნება გიდ-ს გაახალგაზრდავების ტენდენცია, თუმცა ახალგაზრდებში შუნტირების შესახებ ინფორმაცია მწირია[86]. ზოგიერთი ავტორის მიხედვით ახალგაზრდა პაციენტებში ადგილი აქვს დაავადების უფრო ავთვისებიან მიმდინარეობას შუნტირების შემდეგ[201]. თუმცა ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს უკეთეს შედეგებს 50 წელზე ახალგაზრდა პაციენტებში, ასაკოვნებთან შედარებით[156].

ნაადრევი კორონარული არტერიების დაზიანება ახალგაზრდა პაციენტებში წარმოადგენს დაავადების სწრაფად პროგრესირებად ფორმას[97]. ახალგაზრდებში არაკეთილსაიმედო გამოსავლის დეტერმინანტებს წარმოადგენენ - მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია, მიოკარდის ინფრქარქტი, დიაბეტი, თირკმლის უკმარისობა, 40 წელზე ახალგაზრდა ასაკი[32]. გიდ-ის მიმდინარეობის თავისებურებებს ახალგაზრდებში წარმოადგენენ: ატიპიური კლინიკური მიმდინარეობა, დაავადების მოკლე ანამნეზი, ხშირად არასტაბილური სტენოკარდია ან პირიქით - სენოკარდიის დაბალი ფუნქციური კლასი[205]. თუმცა ახალგაზრდა პაციენტებს გააჩნიათ გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების რისკის კლასიკური ფაქტორები[129] და ამ სიმპტომების ნაადრევი კლინიკური დასაწყისი შესაძლებელია იყოს უფრო აგრესიული, ვიდრე ასაკოვან პაციენტებში[51]. ფაქტიურად, ახალგაზრდები, რომლებიც გადიან კორონარული არტერიების რევასკულარიზაციას, წარმოადგენენ პაციენტთა სპეციფიურ სუბპოპულაციას. დღეისათვის მცირეა კვლევები მათი გადარჩენის, გულ-სისხლძარღვთა გამოვლინებების და განმეორებითი რევასკულარიზაციის შესახებ[92].

ჰოსპიტალური ლეტალობა შუნტირების შემდეგ ახალგაზრდა ქალებში მეტია, ვიდრე მამაკაცებში[185].

რეციდივების და განმეორებითი მიოკარდის ინფარქტის სიხშირე კორონარული არტერიების მრავლობითი მძიმე დაზიანებით დამოკიდებულია რევასკულარიზაციის მოცულობაზე. სრული რევასკულარიზაცია იძლევა რეციდივების თავისან აცილების საშუალებას ახლო და შორეულ პერსპექტივაში.

ოპერაციის შემდგომი გართულებებისა და ლეტალობის მაღალი რისკი გააჩნიათ პაციენტებს, რომელთაც აქვთ დაბალი LVEF[181]. ამიტომ რისკის ჯგუფის პაციენტების ადრეული იდენტიფიცირება იძლევა გადაწყვეტილების მიღების და ადექვატური მხარდაჭერის საშუალებას[81].

დაბალი LVEF დაკავშირებულია თირკმლის მწვავე უკმარისობასთან[36,105], რესპირატორულ უკმარისობასთან, პნევმონიასთან, წინაგულების ფიბრილაციასთან[117].

ნიუ იორკის შტატის 55,515 პაციენტის გამოკვლევით, რომელთაც ჩაუტარდათ CABG, LVEF ასოცირდებოდა ასევე პოსტოპერაციულ გულის უკმარისობასთან, სეფსისთან, ასაკთან და მდებრობით სქესთან[181], პერიოპერაციულ ლეტალობასთან[35,24,87].

მარჯვენა პარკუჭის ფუნქცია მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ლეტალობასთან. ოპერაციამდელი რისკის შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამკარიანი სარქვლის რეგურგიტაცია, რომელიც ახდენს RV ფუნქციის მასკირებას, ასევე მიტრალური სარქვლის რეგურგიტაციას შეუძლია LV ფუნქციის დაქვეითების მასკირება.[27]

პოსტოპერაციული პნევმონია, აღინეშნება პაციენტთა 3,1%-ს, მრავალგანზომილებიანი ანალიზით დადგინდა პნევმონიის რისკის ფაქტორები - ასაკი(OR=1,0295%CI:1,01-1,03), ფქოდ(OR=2.97, 95%CI: 2,7-3,6), EF(OR=0,9895%CI: 0,96-0,99), ერითროციტების ტრანსფუზია[17].

შუნტირების შემდგომ პნევმონიასთან დაკავშირებულია პაციენტის დემოგრაფიული მახასიათებლები, პროცედურის სტატუსი, ანამნეზი, თანმხლები დაავადებები, ლაბორატორიული მახასიათებლები და სხვა[84,95,160].

წინაგულების ფიბრილაცია წარმოადგენს ღია გულზე ჩატარებულ ოპერაციის დროს ყველაზე გავრცელებულ გართულებას[209]. მისი სიხშირე შეადგენს 20-დან 50% და განსხვავდება მისი კლასიფიკაციის და შეფასების მიხედვით[210]. აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ ხანებში იზრდება პერიოპერაციული წფ-ს სიხშირე, რაც დაკავშირებულია პაციენტების ასაკის ზრდით, ვისაც უტარდება ოპერაცია ღია გულზე[202].

CABG-ის შემდგომი წინაგულების ფიბრილაცია შეადგენს 29.5%-ს[63]. მაღალი რისკის ჯგუფებში, 80 წელზე უფროს ასაკში, მომუშავე გულზე ოპერაცია ამცირებს ფიბრილაციის და ინსულტის რისკს (134,117 შემთხვევა 797 ჰოსპიტალი)[20,29], ლეტალობისა და ფილტვისმიერი გართულებების რისკს[142]. ოპერაციის შემდგომი ფიბრილაცია წარმოადგენს ინსულტის დამოუკიდებელი რისკის ფაქტორს[101], ქირურგიის ტექნიკის გაძლიერებისა და პოსტ-ოპერაციული ზრუნვის ხარისხის გაზრდის მიუხედავად, ბოლო წლების განმავლობაში POAF- პოსტოპერაციული ფიბრილაციის შემთხვევა არ შემცირებულა და შეადგენს 21%-23%-ს[26,72].

Ferreira AF-ს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით წინაგულების ფიბრილაციის სიხშირე შუნტირების შემდეგ შეადგენს 18%-ს და დაკავშირებულია ასაკთან (OR: 1.035, 95% CI: 1.015-1.056, $p=0.001$), დაბალ კრეატინინის კლირენსთან (OR: 0.992, 95% CI: 0.985-0.999, $p=0.032$) მარცხენა წინაგულის მიმატებულ დიამეტრთან (OR: 1.058, 95% CI: 1.024-1.093, $p=0.001$) წფ განაპირობებს მაღალ ჰოსპიტალურ ლეტალობას (2.9% vs. 0.8%, $p<0.001$). იგი წარმოადგენს ლეტალობის დამოუკიდებელ პრედიქტორს (HR: 1.394, 95% CI: 1.147-1.695, $p=0.001$)(აღსანიშნავია, რომ ამ კვლევაში გამორიცხვის კრიტერიუმი იყო წფ ანამნეზში)[60].

პერიოპერაციული ფიბრილაციის სიხშირეთა განსხვავება კლინიკური თვალსაზრისით შეიძლება აიხსნას გულის ოპერაციის ტიპის და არითმიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმებით. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თანდართულ დაავადებებს, როგორცაა ჰიპერტენზია (77% vs 68%) ან გულის უკმარისობა (21% vs 4.3%). თუმცა Filardo et al. -ის კვლევამ, რომელიც ჩატარდა 6899 პაციენტზე AF ისტორიის გარეშე, რომელთაც გადაიტანეს იზოლირებული CABG, არ გამოუვლინდათ განსხვავება ჰიპერტენზიის, დიაბეტისა და თირკმელების უკმარისობის მიხედვით[62].

1578 პაციენტის გამოკვლევამ, რომელთაც ჩატარდათ კორონარული შუნტირება ექსტრაკორპორული სისხლის მიმოქცევით, აჩვენა, რომ ფიბრილაცია განუვითარდათ პაციენტთა 12.13%-ს, გართულება აღინიშნებოდა ძირითადად ოპერაციიდან მესამე დღეს და მეორდებოდა პაციენტთა 60%-ში. გამოვლინდა ფიბრილაციის შემდეგი რისკის ფაქტორები: ასაკი, პაროქსიზმალური ფიბრილაციები ოპერაციები, გადატანილი მიოკარდიის ინფარქტი, მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი, არტერიული ჰიპერტენზია, მარცხენა წინაგულის ზომები, დაბალი EF, დრღვეული სისხლის მოცულობა. ოპერაციის შემდგომი იშემიის პერიოდი. განსაკუთრებით ძლიერია კორელაცია ფიბრილაციასა და 60 წელზე უფროს ასაკთან და არტერიულ ჰიპერტენზიასთან[169]. ხანგრძლივი ხელოვნური ვენტილაცია წარმოადგენს ფიბრილაციის პრედიქტორს[57].

პრეოპერაციული ანემია ასოცირდება არაკეთილსამედო შედეგთან[89].

კარდიოქირურგიული ოპერაციების შემდეგ გავრცელებულ გართულებას წარმოადგენს, თირკმლის უკმარისობა, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს გამოსავალზე. ზოგიერთი მონაცემებით, თირკმლისმიერი გართულება აღინიშნება პაციენტთა 30%-ს[76,157]. ეტიოლოგია მრავალფაქტორულია, თირკმლის მწვავე უკმარისობა წარმოადგენს სერიოზულ პოსტოპერაციულ გართულებას შუნტირების დროს. შუნტირების დროს თირკმელში სისხლის მიმოქცევის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს თირკმლის უკმარისობა. პროანთებითმა ციტოკინებმა შესაძლებელია გამოიწვიონ თირკმლის მილაკების ეპითელიუმის დაზიანება[67]. თირკმლის

უკმარისობა წარმოადგენს ლეტალობის ყველაზე ძლიერ დამოუკიდებელ რისკის ფაქტორს OR=7,9(95% CI 6 to 10)[46]. ოპერაციის შემდგომი მცირედი თირკმლისმიერი გართულებებიც კი, რომელიც გამოიხატება კრეატინინის 0,2-დან 0,3 მგ /დლ მომატებაში, დაკავშირებულია არაკეთილსაიმედო გამოსავალთან[107,179,112,113].

კარდიოქირურგიული ოპერაციების რისკების შესაფასებლად 1999 წელს Papworth Hospital (Cambridge, UK) -ის მეცნიერების მიერ მოწოდებული იყო სკალა EuroScore[155]. იგი დაფუძნებულია ფართო კვლევის მონაცემებზე, რომელშიც განხილულ იქნა 19 030 პაციენტის მონაცემები და რომელთაგან შეირჩა 18679 პაციენტი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან - გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ფინეთი, რომელთაც ჩაუტარდათ ოპერაცია გულზე. შესწავლილ იქნა 68 ოპერაციამდელი და 29 ინტრაოპერაციული ფაქტორი, პაციენტთა საშუალო ასაკი შეადგენდა (62,5 ± 10,7) წელს (17-დან 94 წლამდე). ყველაზე გავრცელებული ფაქტორები იყო: არტერიული ჰიპერტენზია (43,6%), დიაბეტი (16,7 %), პერიფერიული არტერიების ათეროსკლეროზი (2,9 %), თირკმლის ქრონიკული უკმარისობა (3,5 %), ფილტვის ქრონიკული დაავადებები (3,9 %), გულზე გადატანილი ჩარევა (7,3 %), მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია (31,4 %). საერთო ჰოსპიტალური ლეტალობა შეადგენდა 4,8 %-ს, ლეტალობა კარდიოლოგიური მიზეზებით — 3,4%-ს[83,114].

რისკები შეფასება განმეორებით ჩატარდა EuroScore 2-ის ფარგლებში. ამ შემთხვევაში გამოყენებული იყო სპეციალურ ვებ საიტზე 43 ქვეყნიდან და 154 კლინიკის მიერ შეგროვებული 22 221 პაციენტის მონაცემები, რომელთაც ჩაუტარდათ ოპერაციები გულზე(major cardiac surgery) - 12 კვირიან პერიოდში(2010 წლის მაისი-ივლისი)[130].

ფაქტორების შერჩევასას გათვალისწინებულ იყო ლიტერატურის მიმოხილვა და EuroScore-ს მრავალი მომხმარებლისგან მიღებული მოსაზრებები. განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

პროგნოზირებისათვის აბსოლუტურ შრატის კრეატინინთან შედარებით უკეთესია კრეატინინის კლირენსი (CC),

- ღვიძლის ფუნქცია არ არის რეპრეზენტატიული;
- არასტაბილური სტენოკარდიის განსაზღვრისას ინტრავენური ნიტრატების გამოყენების აღნიშვნა მოძველებულია;
- ზოგიერთი უწყვეტი ცვლადი განიხილება როგორც დიქტომური (გადატანილი ოპერაციების რაოდენობა, შრატის კრეატინინი, პულმონური არტერიული წნევა);
- მოდელი არ არის საკმარისად მგრძობიარე ინტერვენციის "წონაზე";
- შეიქმნა რისკის ფაქტორების ახალი კომპლექტი, რომელიც შეიცავს ორიგინალური EuroSCORE-ს მოდიფიცირებულ და შევსებულ საწყის მონაცემებს.

ნებისმიერი სახის, ნებისმიერი რისკ-ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში, კორონარული არტერიის შუნტირებისას სიკვდილიანობა შეადგენს 0.4%-ს, ხოლო ერთი სარქველის ქირურგიული ოპერაციის დროს დაახლოებით 1% [154].

დაბალი რისკის მქონე პაციენტებში სიკვდილის მიზეზი შეიძლება იყოს:

- გარდაუვალი და არაპროგნოზირებადი მოვლენა (ფილტვის ემბოლი, ინსულტი და ა.შ.);
- მაღლი რისკის პაციენტი, რომლის რისკები სათანადოდ არ არის წარმოდგენილი გამოყენებულ რისკის მოდელში;
- წარუმატებელი ჩარევა [131].

მადრიდის სან კარლოს ჰოსპიტალში შეადარეს 2005-2010 წლებში ჩატარებული 4780 კარდიოქირურგიული ოპერაციის შედეგი EuroSCORE-ს და EuroSCORE II-ს. ლეტალობის სიხშირე შეადგენდა 5.66% -ს, მაშინ როდესაც EuroSCORE-ს და EuroSCORE II-ის შემთხვევაში იყო 9 და 4.42% შესაბამისად. აღნიშნავენ ცუდ კალიბრაციას EuroSCORE II-ის შედეგებთან, რასაც ხსნიან განსხვავებული საშუალო ასაკითა და რისკის ფაქტორთა განსხვავებული სიხშირეებით [42].

ამერიკელი ავტორები აღნიშნავენ, რომ EuroSCORE შემუშავებულია ევროპის პოპულაციების მიხედვით და შეიძლება არ ასახავდნენ ამერიკელი პაციენტების შედეგებს. 16,120 პაციენტის პრედიქტორების შესწავლამ ნიუ იორკის შტატის პოპულაციიდან გამოავლინა ჰოსპიტალური ლეტალობის რისკის ფაქტორები შუნტირების დროს(ლეტალობის სიხშირე 2.7%): ასაკი - 1.08 (1.06–1.09) $p < 0.0001$ ქალთა სქესი- OR=2.10 (1.68–2.62) $p < 0.0001$; Ef20% OR=4.73(2.99–7.48) $p < 0.0001$ 20%–29% OR=2.77(2.01–3.81) $p < 0.0001$ 30%–39% OR=1.78(1.34–2.37) $p < 0.0001$ პრეპროცედურული MI 6–23 საათით ადრე - OR=3.97 (2.05–7.70) $p < 0.0001$ MI 1–20 days OR=1.65 (1.29–2.09) $p < 0.0001$ ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება - OR=1.61 (1.26–2.05) $p < 0.0001$ აორტის კალციფიკატები Extensively calcified ascending aorta OR=2.09 (1.50–2.90) $p < 0.0001$ პერიფერიული არტერიების დაავადება - OR=1.75 (1.35–2.28) $p < 0.0001$ გადატანილი ოპერაცია ღია გულზე - OR= 3.21 (2.29–4.51); ყველაზე მაღალი რისკის ფაქტორები იყო პრეპროცედურული(6 საათით ადრე) MI OR=7.22, (95% CI 3.81 to 13.67), შოკი - OR=5.85,(95% CI 3.05 to 11.24), და თირკმლის უკმარისობა OR=(5.58, 95% CI 3.62 to 8.61)[78].

კიოლნის საუნივერსიტეტო კლინიკის 5714 პაციენტის კლინიკური მასალის რეგრესიული ანალიზის გამოყენებით იდენტიფიცირებული იყო პერიოპერაციული ლეტალობის 6 პრეოპერაციული და 4 ოპერაციის შემდგომი დამოუკიდებელი პრედიქტორი: ასაკი [OR=1.8, 95% [CI] 1.3-2.4), პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებები (OR 2.6, 95% CI 1.6-4.2), ჰიპერტონია (OR 2,7, 95% CI 1,5-4,9), წინაგულების ფიბრილაცია (OR 1,5, 95% CI 1,0-2,3), სასწრაფო ჩარევა (OR 5.0, 95% CI 3.4-7.2), სხვა პროცედურები CABG (OR 1,5, 95% CI 1.0-2.1), ოპერაციის შემდგომი დიალიზი (OR 4.0, 95% CI 2.6-6.1), სეფსისი(OR 3.4, 95% CI 2.0-5.6), რესპირატორული უკმარისობა (OR 3.2, 95% CI 2.2-4.9), GIC (OR 3,2; 95% CI 1,9-5,3)[149].

ამრიგად, მიუხედავად ლიტერატურის სიმრავლისა, კორონარული შუნტირების მეთოდებისა და გამოსავლის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც განსაზღვრავს კვლევის ჩატარების აქტუალობას.

თავი II

მასალა და მეთოდები

კვლევას საფუძვლად დაედო 37-75 წწ. ასაკის 402 პაციენტის კლინიკური მასალის ანალიზი, რომელთაც 2011–2015 წლებში ჩაუტარდათ კორონარული შუნტირების ოპერაცია ქ.ქუთაისის ზ. ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრში, ქ. თბილისის „ალადაშვილის სახელობის კლინიკაში“ და შპს „ლანცეტში“. მათგან მომუშავე გულზე გაკეთებულია 253, ხელოვნური სისხლის მიმოქცევის (ხ.ს.მ.) გამოყენებით კი - 149 შუნტირება. სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა 94 პაციენტს, ხოლო გეგმიური 308 -ს.

ჩართვის კრიტერიუმები:

პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ იზოლირებული კორონარული შუნტირება ერთი ან რამდენიმე კორონარული არტერიის დაზიანების გამო, პაციენტის ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე,

გამორიცხვის კრიტერიუმები:

გულის, თირკმლის, ან ფილტვის ქრინიკული დაავადებების ტერმინალური სტადიები.

პაციენტების კვლევა მოიცავდა ანამნეზის შეკრებას, ანკეტირებას, კლინიკურ-ლაბორატორიულ, ბიოქიმიური ანალიზს და ინსტრუმენტულ კვლევას - ექოსკოპია, კარდიოგრაფია, კორონაროგრაფია. მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკა ხდებოდა კლინიკური, ეკგ, ლაბორატორიული და ექოკარდიოგრაფიული კვლევების მონაცემების საფუძველზე.

კვლევაში ჩართულ პაციენტებში გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტის დეფინიცია ხდებოდა ESC/ACCF/AHA/WHF სამუშაო ჯგუფის მიერ 2007 წელს შემუშავებული მიოკარდიუმის ინფარქტის უნივერსალური დეფინიციის მიხედვით [174].

არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოსტიკა და ხარისხის დადგენა ხდებოდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 1999 წ. მოწოდებული რეკომენდაციის საფუძველზე: სისტოლური წნევის სტაბილური მომატება 140 მმვწყსვ და/ან დიასტოლურის – 90 მმ ვწყ სვ-ზე მეტად. შაქრიანი დიაბეტის დადგენა ხდებოდა ამერიკის დიაბეტოლოგთა ასოციაციის მიერ 1997 წელს მოწოდებული კრიტერიუმების საფუძველზე: 1. შაქრიანი დიაბეტის სიმპტომებს დამატებული სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მომატება 11 მმოლ/ლ-ზე მეტად დღის ნებისმიერ დროს შემთხვევით განსაზღვრისას. 2. უზმოზე სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მომატება 7,0 მმოლ/ლ-ზე მეტად. 3. გლუკოზისადმი ტოლერანტობის ტესტის ჩატარებისას სისხლში გლუკოზის დონის მომატება 11,1 მმოლ/ლ-ზე მეტად. ასევე დგინდებოდა შაქრიანი დიაბეტის ტიპები: ტიპი I - ინსულინდამოკიდებული, ტიპი II - ინსულინდამოუკიდებელი. ზოგადკლინიკური გამოკვლევების გარდა ავადმყოფებს უტარდებოდა სისხლში ლიპიდური ცვლის მაჩვენებლების (საერთო ქოლესტერინი , მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების – ქოლესტერინი, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების – ქოლესტერინი, ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების – ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები) განსაზღვრა. ქოლესტერინის სასურველი კონცენტრაცია სისხლში არის 5,2 მმოლ/ლ (200 მგ%-)მდე, ზომიერ მომატებად ითვლება 5,2 – 6,2 მმოლ/ლ (200 – 239 მგ%), ძლიერ მომატებად ითვლება ქოლესტერინის კონცენტრაცია სისხლში 6,2 მმოლ/ლ (240 მგ%)-ზე მეტი. ინფარქტდამოკიდებული სისხლძარღვის ვერიფიცირებას ვახდენდით კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის – გაიდლაინის მიხედვით.[6]

ჩვენს მიერ შესწავლილი ფაქტორები მოცემულია 2.1 ცხრილში

შესწავლილ ფაქტორთა ჩამონათვალი

ოპერაცია	CABG	
	AVR+CABG	კი-1,არა-0
	სასწრაფო1 -გეგმიური -0	კი-1,არა-0
ასაკი	<45	კი-1,არა-0
	45-60	კი-1,არა-0
	61-75	კი-1,არა-0
	>75	კი-1,არა-0
სქესი	მდედრობითი	კი-1,არა-0
მავნე ჩვევები	თამბაქოს მოხმარება	კი-1,არა-0
	ალკოჰოლის ხშირი მოხმარება	კი-1,არა-0
ანამნეზი	გენეტიკური დატვირთვა	კი-1,არა-0
	გულის უკმარისობა	კი-1,არა-0
	სტენოკარდია	კი-1,არა-0
	შაქრიანი დიაბეტი	კი-1,არა-0
	ჭარბი წონა	კი-1,არა-0
	არტერიული ჰიპერტენზია	კი-1,არა-0
	თირკმლის უკმარისობა	კი-1,არა-0
	ფეოლ	კი-1,არა-0
	დისლიპიდემია	კი-1,არა-0
	ანემია	კი-1,არა-0
	დაავადების ხანგრძლივობა(წელი)	
	გადატანილი ინსულტი	კი-1,არა-0
	ტრანზიტორული იშემიური შეტევა	კი-1,არა-0
	გადატანილი მმი	კი-1,არა-0
გადატანილი PCI	კი-1,არა-0	
გადატანილი შუნტირება	კი-1,არა-0	

	ფიბრილაცია	კი-1,არა-0
	მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია	კი-1,არა-0
	შოკი	კი-1,არა-0
	ST ელევაცია	კი-1,არა-0
ექოსკოპია	დიასტოლური მოცულობა	
	სისტოლური მოცულობა	
	EF(%)	
	EF(%)<35%	კი-1,არა-0
	თავისუფალი სითხე	კი-1,არა-0
	მიოკარდის რეგიონალური კუმშვადობს მოშლა	კი-1,არა-0
სარქველის რეგურგიტაცია	მიტრალური	კი-1,არა-0
	აორტის	კი-1,არა-0
	სამკარიანი	კი-1,არა-0
	ფილტვის არტერიის	კი-1,არა-0
დაზიანებული სისხლძარღვი	LM	კი-1,არა-0
	LCX მარცხენა შემომხვევი არტერია	კი-1,არა-0
	LAD მარცხენა წინა დაღმავალი არტერია	კი-1,არა-0
	RPL მარჯვენა უკანა ლატერალური	კი-1,არა-0
	RCA -მარჯვენა კორონარული არტერია	კი-1,არა-0
	DB დიაგონალური არტერია	კი-1,არა-0
	OM - მარგინალური არტერია	კი-1,არა-0
	PDA - უკანა დაღმავალი არტერია	კი-1,არა-0
	AI შუამდებარე არტერია	კი-1,არა-0
	LCA - მარცხენა კორონარული არტერია	კი-1,არა-0

ბიოქიმიური მაჩვენებლები	ტროპონინი	
	კრიატინინი სისხლში	
	შარდოვანა სისხლში	
	ALT	
	AST	
	GGT	
	გლუკოზა	
სისხლის ჯგუფი და რეზუსი	0	კი-1,არა-0
	A	კი-1,არა-0
	B	კი-1,არა-0
	AB	კი-1,არა-0
	RH+	კი-1,არა-0
	სადილე არტერიების დაზიანება 50%> 1	კი-1,არა-0
სისხლის საერთო	HB	
	ლიმფოციტი	
	ლიმფოციტი %	
	ჰემატოკრიტი	
	თრომბოციტები	
კოაგულოგრამა	INR	
	პროთრომბინის ინდექსი	
	ფიბრინოგენის კონცენტრაცია	
	პროთრომბინის დრო (PT)	
	თრომბოპლასტინის დრო(APTT)	
	თრომბინის დრო(TT)	
პერიოპერაციული და ადრეული გართულებები	ინტრაოპერაციული შოკი	კი-1,არა-0
	თრომბოზი	კი-1,არა-0
	ინფარქტი	კი-1,არა-0

	სისხლდენა	კი-1,არა-0
	გულის მწვავე უკმარისობა	კი-1,არა-0
	დისსექცია	კი-1,არა-0
	ფიბრილაცია	კი-1,არა-0
	პნევმონია	კი-1,არა-0
	პლევრიტი	კი-1,არა-0
	ინსულტი	კი-1,არა-0
	ფილტვისმიერი გართულებები	კი-1,არა-0
	თირკმლის უკმარისობა	კი-1,არა-0
გამოსავალი	ჰოსპიტალური ლეტალობა	კი-1,არა-0

სტატისტიკური ანალიზი:

რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებისას ვითვლიდით საშუალოს, საშუალო კვადრატულ გადახრას. ჯგუფებს შორის განსხვავების სარწმუნოებას რაოდენობრივი მაჩვენებლების შემთხვევაში ვადგენდით სტუდენტის t კრიტერიუმის გამოყენებით, შედარებისას ვახდენდით დისპერსიების ტოლობის შეფასებას ლევენის მიხედვით (Levene's Test), მიღებული შედეგების მიხედვით ხდებოდა შესაბამისი t-კრიტერიუმის შერჩევა. ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ვითვლიდით საშუალო სიხშირეს, საშუალო კვადრატულ გადახრას. ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასებას ვახდენდით – F(ფიშერის) კრიტერიუმით. კორელაციები ფაქტორებს შორის განისაზღვრა სპირმენის(Spearman) რანგული კორელაციის საშუალებით. ფარდობითი შანსის დადგენა ხდებოდა რეგრესიული ანალიზის მიხედვით. რისკის დადგენა - მულტიფაქტორული ბინარული რეგრესიის საშუალებით. განსხვავება ითვლებოდა სარწმუნოდ, როდესაც $p < 0.05$. მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 22 –ის გამოყენებით.

თავი III

საკუთარი კვლევის შედეგები


3.1. კვლევაში ჩართული პაციენტების მახასიათებელთა შეფასება

კვლევაში ჩართული იყო 402 პაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ შუნტირება.

მათგან შუნტირება მომუშვე გულზე ჩაუტარდა 253(62.9%) პაციენტს, ხოლო ხელოვნური სისხლის მიმოქცევის გამოყენებით - 149 (37.1%)-ს,


სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა 94(23.4%) პაციენტს, ხოლო გეგმიური 308(76.6%) -ს.

პაციენტთა განაწილება ოპერაციების მიხედვით მოცემულია დიაგრამებზე




დიაგრამა 3.1.1

სასწრაფო ოპერაცია შეადგენდა მომუშავე გულზე ჩატარებულ ოპერაციათა 31%-ს და სხმ-ს 11%-ს




დიაგრამა 3.1.2

პაციენტთა უმრავლესობას შეადგენდნენ 45-75 წლის ასაკის პირები, ორივე მეთოდის დროს პრევალირებდა მამრობითი სქესი. ამ მახასიათებლებს შორის ოპერაციული ჩარევის მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა.



დიაგრამა 3.1.3


მავნე ჩვევების სიხშირეები ჯგუფებს შორის სარწმუნოდ არ განსხვავდება.



დიაგრამა 3.1.4


პაციენტთა უმრავლესობას აღენიშნებოდა არტერიული ჰიპერტენზია - ხსმ-ს დროს 89% და ომგ ს შემთხვევაში - 69% და დიაბეტი - ხსმ-ს დროს 21% და 29% ომგ-ს დროს.

პაციენტთა განაწილება სარქვლების რეგურგიტაციის მიხედვით




დიაგრამა 3.1.6

სარქვლების დაზიანებიდან ორივე ჯგუფში ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა მიტრალური სარქვლის დაზიანება




დიაგრამა 3.1.7




დიაგრამა 3.1.8

ორივე ჯგუფში დაზიანებულ არტერიებს შორის პრევალირებდა RCA და LAD, ამასთან შემომხვევი არტერიის დაზიანების სიხშირე სარწმუნოდ ნაკლები იყო სსმ-ს დროს




დიაგრამა 3.1.9

გენეტიკური დატვირთვა აღმოაჩნდა შესაბამისად პაციენტთა 8% და 5%-ს




დიაგრამა 3.1.10




დიაგრამა 3.1.11


ლაბორატორიული მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე 3.1.12-3.1.16




დიაგრამა 3.1.12




დიაგრამა 3.1.13



დიაგრამა 3.1.14



დიაგრამა 3.1.15



დიაგრამა 3.1.16

როგორც ვხედავთ, პაციენტების ძირითადი ინიციალური მახასიათებლები ოპერაციების მიხედვით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

განსხვავება აღინიშნა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში:

ტროპონინის რაოდენობა სარწმუნოდ მეტი იყო მომუშავე გულზე ჩატარებული კორონარული შუნტირების დროს($p<0.05$).

წინა დაღმავალი არტერიის დაზიანების სიხშირე სარწმუნოდ ნაკლები იყო ხსმ-ს დროს($p<0.05$)..

რაც შეეხება დაზიანებული სისხლძარღვების რაოდენობას, ეს მაჩვენებელი სარწმუნოდ მეტი იყო მომუშავე გულზე ჩატარებული ოპერაციების დროს($p<0.05$).

დაზიანებული სისხლძარღვების რაოდენობის განაწილება ოპერაციული ჩარევის მიხედვით

		off pump		on pump		χ^2	P
		abs	%	abs	%		
რაოდენობა	1	50	19.76	35	23.49	56.285 ^a	<0.00001
	2	124	49.01	28	18.79		
	3	69	27.27	52	34.90		
	4	10	3.95	31	20.81		
	5	0	0.00	3	2.01		
Total		253	100.00	149	100.00		

ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა 2 არტერიის დაზიანება - მომუშავე გულზე 124 და სხმ-ს დროს 28, 5 არტერიის დაზიანება შეგვხვდა მხოლოდ 3 შემთხვევაში - სხმ-ს დროს.

3.2.პერიოდული გართულებების და ჰოსპიტალური ლეტალობის შედარებითი ანალიზი მომუშავე გულზე და ხელოვნური სისხლის მიმოქცევის გამოყენებითკორონარული შუნტირების დროს(On-pump vs off-pump CABG)

გახანგრძლივებული იშემიის, ანგიოგრაფიული პრობლემების, მრავალსისხლძარღვოვანი დაზიანებებისა და სისხლძარღვების კანგავლითი სტენტირებისათვის გამოუსადეგარობის დროს, მიოკარდის ქირურგიული რევასკულარიზაცია რჩება გულის იშემიური დაავადებების მკურნალობის ყველაზე ეფექტურ საშუალებად, რადგან იძლევა დაავადების სიმპტომების თავიდან აცილების საშუალებას.

თუმცა აზრთა სხვადასხვაობაა ს.ხ.მ.-ით და მომუშავე გულზე ჩატარებული შუნტირების ოპერაციების (On-pump და off-pump მეთოდებით) შედეგების შეფასებაში. 3.2.1 ცხრილში მოცემულია ორივე მეთოდით შესრულებული ოპერაციების შედარებითი ანალიზი

ცხრილი3.2.1

გართულებების სიხშირეთა სტატისტიკური შეფასება ოპერაციის ტექნიკის მიხედვით

	off pump [n=253]			on pump [n=149]			F	P
	აბს	mean	std	აბს	mean	Std		
ინტრაოპერაციული შოკი	0	0.00	0.000	8	0.05	0.226	14.28	0.0002
თრომბოზი	0	0.00	0.000	3	0.02	0.141	5.17	0.0235
ინფარქტი	0	0.00	0.000	1	0.01	0.082	1.70	0.1929

სისხლდენა	4	0.02	0.125	10	0.07	0.251	7.44	0.0067
გულის მწვავე უკმარისობა	11	0.04	0.204	8	0.05	0.226	0.22	0.6422
დისსექცია	0	0.00	0.000	3	0.02	0.141	5.17	0.0235
ფიბრილაცია	3	0.01	0.108	11	0.07	0.262	10.95	0.0010
პნევმონია	17	0.07	0.251	8	0.05	0.226	0.29	0.5893
პლევრიტი	2	0.01	0.089	2	0.01	0.115	0.29	0.5914
ინსულტი	0	0.00	0.000	1	0.01	0.082	1.70	0.1929
ფილტვისმიერი გართულებები	20	0.08	0.270	24	0.16	0.369	6.55	0.0109
თირკმლის უკმარისობა	1	0.00	0.063	5	0.03	0.181	5.64	0.0180

მომუშავე გულზე ოპერაციის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ისეთ გართულებებს, როგორებიცაა ინტრაოპერაციული შოკი, თრომბოზი, ინფარქტი, დისსექცია, ინსულტი, მაშინ, როდესაც ეს ფაქტორები გვხვდებოდა On pump-ის პაციენტთა 2-5%-ის შემთხვევაში. გარდა ამისა, On pump-ის შემთხვევაში სარწმუნოდ მეტია სისხლდენა, ფიბრილაცია, ფილტვისმიერი გართულებები, თირკმლის უკმარისობა.

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ „გართულება“, როგორც კრებითი ფაქტორი, რომელიც მოიცავდა ყველა ჩვენს მიერ შესწავლილი გართულებიდან ერთს მაინც(ცხრილი3.2.2).

ცხრილი 3.2.2


გართულების შეფასება ოპერაციის მეთოდის მიხედვით

მეთოდი	რაოდენობა	გართულება			F	Sig.
		აბს	Mean	Std. Deviation		
	N					

მომუშავე გულზე	253	35	0.14	0.346	11.728	0.0007
სხმ	149	41	0.28	0.448		
სულ	402	76	0.19	0.392		

გართულება სულ დაფიქსირდა 76(19%) შემთხვევაში, აქედან მომუშავე გულზე 35(14%) და სხმ-ს შემთხვევაში 41(28%). ამრიგად სხმ-ს შემთხვევაში სარწმუნოდ მეტია გართულების სიხშირე.

ჰოსპიტალური გართულებების და ლეტალობის სიხშირეები ორივე მეთოდის დროს მოცემულია 3.2.1 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.2.1

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ჰოსპიტალური ლეტალობა და საერთო გართულებები სარწმუნოდ მეტია On pump-ის შემთხვევაში.

ჩატარებულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა პერიოპერაციული გართულებებისა და ჰოსპიტალური ლეტალობის ფარდობითი შანსი ოპერაციული მეთოდების მიხედვით. (ცხრილი 3.2.3).

ცხრილი 3.2.3


პერიოპერაციული გართულებებისა და ჰოსპიტალური ლეტალობის ფარდობითი შანსის შეფასება On pump vs Of pump

	OR	95%CI	
სისხლდენა	4.48	1.38	14.54
გულის მწვავე უკმარისობა	1.25	0.49	3.18
ფიბრილაცია	6.64	1.82	24.21
პლევრიტი	1.71	0.24	12.25
ფილტვისმიერი გართულებები	2.24	1.19	4.21
თირკმლის უკმარისობა	8.75	1.01	75.63
ჰოსპიტალური ლეტალობა	3.93	1.57	9.89
გართულება	2.365	1.425	3.924

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ შუნტირება სხმ-ით, მომუშავე გულზე შუნტირებასთან შედარებით სარწმუნოდ ზრდის სისხლდენის, ფიბრილაციის, ფილტვისმიერი

გართულებების, თირკმლის უკმარისობის და ჰოსპიტალური ლეტალობის ფარდობით შანსს.

ამრიგად სისხლის ხელოვნური მიმოქცევით ჩატარებული ოპერაციების დროს, მომუშავე გულზე ჩატარებულ შუნტირებასთან შედარებით სარწმუნოდ იზრდება გართულებების ალბათობა.



დიაგრამა 3.2.2.

3.3. სასწრაფო და გეგმიური ოპერაციების გამოსავლის შედარებითი ანალიზი მომუშავე გულზე და ხელოვნური სისხლის მიმოქცევით ჩატარებული შუნტირების დროს

ლიტერატურის მიხედვით სასწრაფო კორონარული შუნტირება დაკავშირებულია არაკეთილსაიმედო გამოსავალთან.

ჩვენი მასალა დავყავით სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციების მიხედვით, შევისწავლეთ პაციენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები და დაზიანებული სისხლძრღვევის რაოდენობა.

პაციენტების განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით მოცემულია ცხრილში 3.3.1.

ცხრილი 3.3.1


პაციენტების განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით

	გეგმიური (n=308)			სასწრაფო (n=94)			F	P
	აბს	Mean	Std. Dev.	აბს	Mean	Std.		

						Dev.		
<45	21	0.07	0.252	6	0.06	0.246	0.02	0.8831
45-60	121	0.39	0.489	28	0.30	0.460	2.79	0.0956
61-75	149	0.48	0.501	53	0.56	0.499	1.85	0.1750
>75	17	0.06	0.229	7	0.07	0.264	0.47	0.4912
სქესი მდედრობითი	74	0.24	0.428	6	0.20	0.404	0.59	0.4441

როგორც ცხრილიდან ჩანს, გეგმიური და სასწრაფო ოპერაციების ჯგუფებში ასაკისა და სქესის მიხედვით განსხვავება არ არის. ორივე ჯგუფში პრევალირებს 61-75წწ. ასაკის პაციენტები და მცირეა 45 წელზე ნაკლები და 75 წელზე მეტი პაციენტები.

დიაგრამა 3.3.1-ზე მოცემულია ოპერაციების განაწილება დაზიანებული სისხლძარღვის მიხედვით



დიაგრამა 3.3.1

სასწრაფო ოპერაციების შემთხვევაში სარწმუნოდ მეტი იყო LAD მარცხენა წინა დაღმავალი არტერიის ოკლუზიის სიხშირე ($F=7.33$; $P=0.0071$). სხვა დაზიანებული სისხლძრღვების მიხედვით გეგმიურ და სასწრაფო ოპერაციებს შორის სარწმუნო განსხვავება არ არის.

ცხილი 3.3.2-ში მოცემულია პერიოპერაციული გართულებებისა და ჰოსპიტალური ლეტალობის სიხშირეთა განაწილება კორონარული არტერიების გეგმიური და სასწრაფო შუნტირების დროს.

ცხრილი 3.3.2

პერიოპერაციული გართულებებისა და ჰოსპიტალური ლეტალობის სიხშირეთა სტატისტიკური შეფასება კორონარული არტერიების გეგმიური და სასწრაფო შუნტირების დროს

	გეგმიური (308)			სასწრაფო (94)			F	P
	აბს	Mean	Std. Deviation	აბს	Mean	Std. Deviation		
ინტრაოპერაციული შოკი	6	0.02	0.138	2	0.02	0.145	0.01	0.9134
თრომბოზი	2	0.01	0.080	1	0.01	0.103	0.17	0.6837
პერიოპერაციული ინფარქტი	1	0.00	0.057	0	0.00	0.000	0.30	0.5813
სისხლდენა	9	0.03	0.169	5	0.05	0.226	1.23	0.2683
გულის მწვავე	15	0.05	0.216	4	0.04	0.203	0.06	0.8064

უკმარისობა								
დისსექცია	2	0.01	0.080	1	0.01	0.103	0.17	0.6837
ფიბრილაცია	11	0.04	0.186	3	0.03	0.177	0.03	0.8608
პნევმონია	18	0.06	0.235	7	0.07	0.264	0.32	0.5744
პლევრიტი	4	0.01	0.113	0	0.00	0.000	1.23	0.2679
ინსულტი	1	0.00	0.057	0	0.00	0.000	0.30	0.5813
ფილტვისმიერი გართულებები	35	0.11	0.318	9	0.10	0.296	0.24	0.6278
თირკმლის უკმარისობა	6	0.02	0.138	0	0.00	0.000	1.86	0.1736
ინფარქტი	0	0.00	0.000	1	0.01	0.103	3.30	0.0702
ჰოსპიტალური ლეტალობა	17	0.06	0.229	5	0.05	0.226	0.01	0.9406

როგორც ცხრილიდან ჩანს, სასწრაფო და გეგმიურ შემთხვევებს შორის შედეგების მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა.

ოპერაციების მეთოდების მიხედვით შედარებამ გვიჩვენა, რომ გეგმიური ოპერაციების დრის სარწმუნოდ მეტი იყო სხმ-ს გამოყენებით გაკეთებული ოპერაციების სიხშირე, ვიდრე მომუშავე გულზე - შესაბამისად 133(0.43) და 16(0.17), $F= 22.19$, $p<0.00001$, ამიტომ იმის გასარკვევად, რამდენად მოქმედებს სასწრაფო ოპერაცია მკურნალობის გამოსავალზე ოპერაციის მეთოდების მიხედვით, შედეგები შევისწავლეთ ორივე ჯგუფში ცალკ-ცალკე - პაციენტებში, რომელთაც ჩაუტარდათ ოპერაცია მომუშავე გულზე (ცხრილი 3.3.3) და რომელთაც ჩაუტარდათ ხელოვნური სისხლის მიმოქცევის (ხ.ს.მ.) გამოყენებით(ცხრილი 3.3.4).

ცხრილი 3.3.3

გართულებების სტატისტიკური ანალიზი გეგმიური და სასწრაფო ჩარევის შემთხვევაში მომუშავე გულზე ჩატარებული შუნტირების დროს

	გეგმიური			სასწრაფო			F	P
	აბს	Mean	Std. Deviation	აბს	Mean	Std. Deviation		
ინტრაოპერაციული შოკი	0	0.00	0.000	0	0.00	0.000		
თრომბოზი	0	0.00	0.000	0	0.00	0.000		
ინფარქტი	0	0.00	0.000	0	0.00	0.000		
სისხლდენა	4	0.02	0.150	0	0.00	0.000	1.81	0.1797
გულის მწვავე უკმარისობა	9	0.05	0.222	2	0.03	0.159	0.86	0.3550
დისსექცია	0	0.00	0.000	0	0.00	0.000		
ფიბრილაცია	2	0.01	0.107	1	0.01	0.113	0.01	0.9251
პნევმონია	11	0.06	0.243	6	0.08	0.268	0.17	0.6813
პლევრიტი	2	0.01	0.107	0	0.00	0.000	0.89	0.3451
ინსულტი	0	0.00	0.000	0	0.00	0.000		
ფილტვისმიერი გართულებები	15	0.09	0.281	5	0.06	0.247	0.34	0.5581
თირკმლის უკმარისობა	1	0.01	0.076	0	0.00	0.000	0.44	0.5055
ინფარქტი	0	0.00	0.000	1	0.01	0.113	2.25	0.1345
ჰოსპიტალური ლეტალობა	4	0.02	0.150	3	0.04	0.194	0.49	0.4866

სხმ-ს დროს სასწრაფო ოპერაციების დროს დაფიქსირდა სისხლდენის სარწმუნოდ მეტი სიხშირე, ვიდრე გეგმიური ოპერაციების დროს. სხვა გართულებების მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა. ჰოსპიტალური ლეტალობის სიხშირე სხმ-ს დროს გეგმიური და გადაუდებელი ოპერაციების დროს სარწმუნოდ არ განსხვავდება.

ცხრილი 3.3.4

გართულებების სტატისტიკური ანალიზი გეგმიური და სასწრაფო ჩარევის დროს
სხმ-ით ჩატარებული შუნტირების დროს

	გეგმიური		Std. Deviation	სასწრაფო			F	P
	აბს Mean	ს		აბს	Mean	Std. Deviation		
ინტრაოპერაციული შოკი	6	0.05	0.208	2	0.13	0.342	1.79	0.1828
თრომბოზი	2	0.02	0.122	1	0.06	0.250	1.63	0.2042
ინფარქტი	1	0.01	0.087	0	0.00	0.000	0.12	0.7300
სისხლდენა	5	0.04	0.191	5	0.31	0.479	19.23	<0.00001
გულის მწვავე უკმარისობა	6	0.05	0.208	2	0.13	0.342	1.79	0.1828
დისექცია	2	0.02	0.122	1	0.06	0.250	1.63	0.2042
ფიბრილაცია	9	0.07	0.252	2	0.13	0.342	0.68	0.4108
პნევმონია	7	0.05	0.224	1	0.06	0.250	0.03	0.8697
პლევრიტი	2	0.02	0.122	0	0.00	0.000	0.24	0.6242
ინსულტი	1	0.01	0.087	0	0.00	0.000	0.12	0.7300
ფილტვისმიერი გართულებები	20	0.15	0.359	4	0.25	0.447	1.04	0.3090
თირკმლის უკმარისობა	5	0.04	0.191	0	0.00	0.000	0.62	0.4336
ინფარქტი	0	0.00	0.000	0	0.00	0.000		
ჰოსპიტალური	13	0.10	0.298	2	0.13	0.342	0.12	0.7342

ლექტალობა								
-----------	--	--	--	--	--	--	--	--

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ პერიოპერაციული გართულებების მიხედვით, მომუშავე გულზე შუნტირებისას გეგმიურ და სასწრაფო ოპერაციებს შორის სარწმუნო განსხვავება არ არის, ხოლო სხმ-ის ჯგუფში სასწრაფო ოპერაციების დროს ადგილი აქვს სისხლდენის სიხშირის სარწმუნო მატებას გეგმიურთან შედარებით.

3.4. კორელაციური კავშირის შეფასება პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და პერიოპერაციულ ფაქტორებს შორის

პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და პერიოპერაციულ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად ჩავატარეთ კორელაციური ანალიზი. თავდაპირველად შევისწავლეთ კორელაციები ჰოსპიტალურ ლექტაობასა და ინიციალურ მახასიათებლებს შორის(ცხრილი 3.4.1.)

ცხრილი 3.4.1

კორელაციები ჰოსპიტალურ ლექტაობასა და ინიციალურ მახასიათებლებს შორის

		ჰოსპიტალური ლეტალობა
სხმ	r	0.155**
	p	0.002
სასწრაფო	r	-0.004
	p	0.941
რაოდენობა	r	-0.002
	p	0.970
<45	r	0.091
	p	0.068
45-60	r	-0.090
	p	0.073
61-75	r	0.021
	p	0.679
>75	r	-0.005
	p	0.924
სქესი მდედრობითი	r	0.101*
	p	0.042
უმაღლესი განათლება	r	-0.002
	p	0.967
დასაქმებული	r	-0.002
	p	0.967
სოც.დაუცველი	r	-0.075
	p	0.131
სტრესული სამუშაო	r	0.010
	p	0.836
თამბაქოს მოხმარება	r	-0.079
	p	0.114
ალკოჰოლის ხშირი მოხმარება	r	-0.061
	p	0.225

გენეტიკური დატვირთვა	r	-0.065
	p	0.196
გულის უკმარისობა	r	-0.096
	p	0.054
სტენოკარდია	r	0.061
	p	0.222
შაქრიანი დიაბეტი	r	0.006
	p	0.900
ჭარბი წონა	r	0.053
	p	0.285
არტერიული ჰიპერტენზია	r	-0.057
	p	0.255
თირკმლის უკმარისობა	r	-0.021
	p	0.677
ფქოდ	r	-0.021
	p	0.677
დისლიპიდემია	r	-0.012
	p	0.810
ანემია	r	0.111*
	p	0.025
დაავადების ხანგრძლივობა(წელი)	r	0.066
	p	0.190
გადატანილი ინსულტი	r	0.054
	p	0.283
ტრანზიტორული იშემიური შეტევა	r	0.044
	p	0.379
გადატანილი მმი	r	-0.069
	p	0.170
გადატანილი PCI	r	-0.012

	p	0.810
გადატანილი შუნტირება	r	-0.012
	p	0.810
ფიბრილაცია	r	0.119*
	p	0.017
მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია	r	0.109*
	p	0.029
შოკი	r	0.038
	p	0.453
ST ელევაცია	r	0.215**
	p	0.000
საძილე არტერიების დაზიანება 50%>	r	-0.022
	p	0.666

ჰოსპიტალურ ლეტალობასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს შემდეგი ინიციალური ფაქტორები: სხმ - $r=0.155^{**}$; $p=0.002$; მდედრობითი სქესი- $r=.101^*$, $p=0.042$; ანემია - $r=0.111^*$ $p=0.025$; ფიბრილაცია - $r=0.119^*$, $p=0.017$; მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია - $r=0.109^*$, $p=0.029$; ST ელევაცია - $r=0.215^{**}$, $p=0.000$

ცხრილი 3.4.2

კორელაციები ლეტალობასა და პერიოპერაციულ გართულებებს შორის

ინტრაოპერაციული შოკი	r	0.514**
	p	0.000
თრომბოზი	r	0.360**
	p	0.000
ინფარქტი	r	0.208**

	p	0.000
სისხლდენა	r	0.193**
	p	0.000
გულის მწვავე უკმარისობა	r	0.616**
	p	0.000
დისსექცია	r	0.233**
	p	0.000
ფიბრილაცია	r	0.610**
	p	0.000
პნევმონია	r	0.119*
	p	0.017
პლევრიტი	r	-0.024
	p	0.630
ინსულტი	r	-0.012
	p	0.810
ფილტვისმიერი გართულებები	r	0.161**
	p	0.001
თირკმლის უკმარისობა	r	0.421**
	p	0.000
ინფარქტი	r	-0.012
	p	0.810
დემენცია	r	-0.012
	p	0.810

ჰოსპიტალურ ლეტალობასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს შემდეგი გართულებები: ინტრაოპერაციული შოკი - $r=0.514^{**}$; $p=0.000$; თრომბოზი - $r=0.360^{**}$; $p=0.000$; ინფარქტი - $r=.0208^{**}$; $p=0.000$; სისხლდენა - $r=0.193^{**}$; $p=0.000$; გულის მწვავე უკმარისობა - $r=0.616^{**}$; $p=0.000$; დისსექცია - $r=0.233^{**}$; $p=0.000$; ფიბრილაცია -

$r=0.610^{**}$; $p=0.000$; პნევმონია - $r=0.119^*$; $p=0.017$; ფილტვისმიერი გართულებები - $r=0.161^{**}$; $p=0.001$; თირკმლის უკმარისობა - $r=0.421^{**}$; $p=0.000$;

ცხრილი 3.4.3

კორელაციები პერიოპერაციულ გართულებებსა და შუნტირების მეთოდს შორის

		სხმ
ჰოსპიტალური ლეტალობა	r	0.155**
	p	0.002
ინტრაოპერაციული შოკი	r	0.186**
	p	0.000
თრომბოზი	r	0.113*
	p	0.023
ინფარქტი	r	0.065
	p	0.193
სისხლდენა	r	0.135**
	p	0.007
გულის მწვავე უკმარისობა	r	0.023
	p	0.642
დისსექცია	r	0.113*
	p	0.023
ფიბრილაცია	r	0.163**
	p	0.001
პნევმონია	r	-0.027
	p	0.589
პლევრიტი	r	0.027
	p	0.591

ინსულტი	r	0.065
	p	0.193
ფილტვისმიერი გართულებები	r	0.127*
	p	0.011
თირკმლის უკმარისობა	r	0.118*
	p	0.018
ინფარქტი	r	-0.038
	p	0.444
ნევროლოგიური გართულებები	r	0.065

სხმ-სთან კორელირებს: ჰოსპიტალური ლეტალობა, ინტრაოპერაციული შოკი, თრომბოზი, სისხლდენა, დისსექცია, ფიბრილაცია, ფილტვისმიერი გართულებები, თირკმლის უკმარისობა

ცხრილი 3.4.4

კორელაციები პერიოპერაციულ გართულებებსა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის(1)

Spearman's rho	ინტრაოპერაციული შოკი	თრომბოზი	ინფარქტი	სისხლდენა	გულის მწვავე უკმარი სობა	დისსექცია	ფიბრილაცია	
სასწრაფო	r	0.005	0.020	-0.028	0.055	-0.012	0.020	-0.009
	p	0.913	0.684	0.581	0.268	0.806	0.684	0.861
რაოდენობა	r	0.093	0.076	0.044	-0.026	0.042	0.040	0.025
	p	0.061	0.130	0.384	0.598	0.404	0.424	0.620
<45	r	0.207**	0.110*	0.213*	0.016	0.106*	-0.020	0.138**
	p	0.000	0.028	0.000	0.743	0.034	0.684	0.005
45-60	r	-0.070	-0.005	-0.038	0.027	-0.045	-0.065	-0.058

	p	0.162	0.921	0.453	0.591	0.366	0.193	0.247
61-75	r	-0.001	-0.029	-0.050	-0.001	-0.036	0.086	0.026
	p	0.989	0.558	0.316	0.985	0.468	0.084	0.601
>75	r	-0.033	-0.020	-0.011	-0.043	0.003	-0.020	-0.043
	p	0.514	0.692	0.819	0.385	0.953	0.692	0.385
სქესი								
მდედრობითი	r	0.049	0.021	-0.027	-0.008	0.128*	0.021	0.024
	p	0.332	0.675	0.584	0.878	0.010	0.675	0.624
უმაღლესი								
განათლება	r	-0.032	-0.019	-0.011	-0.042	0.061	-0.017	0.022
	p	0.526	0.699	0.824	0.398	0.223	0.733	0.665
დასაქმებული	r	0.052	-0.019	-0.011	0.086	0.061	-0.019	0.022
	p	0.296	0.699	0.824	0.087	0.223	0.699	0.665
სოც.დაუცველი	r	-0.045	-0.027	-0.016	0.035	0.012	-0.027	-0.060
	p	0.371	0.587	0.754	0.478	0.806	0.587	0.233
სტრესული								
სამუშაო	r	0.066	-0.017	-0.010	-0.037	0.018	-0.017	0.034
	p	0.187	0.733	0.844	0.455	0.719	0.733	0.494
თამბაქოს								
მოხმარება	r	-0.047	-0.028	-0.016	0.075	-0.033	0.069	-0.062
	p	0.350	0.570	0.744	0.132	0.504	0.166	0.213
ალკოჰოლის								
ხშირი								
მოხმარება	r	-0.036	-0.022	-0.013	0.181**	-0.056	-0.022	-0.048
	p	0.473	0.662	0.801	0.000	0.262	0.662	0.338
გენეტიკური								
დატვირთვა	r	-0.038	-0.023	-0.013	0.003	0.034	-0.023	-0.051

	p	0.445	0.642	0.789	0.948	0.498	0.642	0.308
გულის უკმარისობა	r	0.191**	-0.076	-0.081	0.026	0.098*	-0.076	0.125*
	p	0.000	0.129	0.105	0.599	0.049	0.129	0.012
სტენოკარდია	r	0.104*	0.063	0.037	0.053	0.040	0.063	0.025
	p	0.037	0.205	0.465	0.285	0.426	0.205	0.618
შაქრიანი დიაბეტი	r	-0.004	0.014	-0.030	-0.020	0.054	0.014	0.041
	p	0.942	0.776	0.553	0.685	0.277	0.776	0.407
ჭარბი წონა	r	0.092	0.083	-0.014	-0.004	0.111*	-0.025	0.098
	p	0.064	0.095	0.773	0.936	0.026	0.616	0.050
არტერიული ჰიპერტენზია	r	-0.025	-0.034	0.024	0.054	-0.017	0.041	-0.016
	p	0.613	0.495	0.638	0.278	0.738	0.414	0.747
თირკმლის უკმარისობა	r	-0.012	-0.008	-0.004	-0.016	-0.019	-0.008	-0.016
	p	0.805	0.881	0.931	0.742	0.699	0.881	0.742
ფქოდ	r	-0.012	-0.008	-0.004	-0.016	-0.019	-0.008	-0.016
	p	0.805	0.881	0.931	0.742	0.699	0.881	0.742
დისლიპიდემ ია	r	-0.007	-0.004	-0.002	-0.009	-0.011	-0.004	-0.009
	p	0.887	0.931	0.960	0.850	0.824	0.931	0.850
ანემია	r	0.099*	0.182**	-0.008	0.063	0.125*	0.182* *	0.063
	p	0.048	0.000	0.880	0.208	0.012	0.000	0.208
დაავადების ხანგრძლივობა (წელი)	r	0.049	-0.021	0.055	.099*	0.079	0.037	0.017
	p	0.331	0.671	0.275	0.048	0.114	0.462	0.733

გადატანილი ინსულტი	r	-0.031	-0.019	-0.011	0.024	0.008	-0.019	-0.041
	p	0.537	0.707	0.829	0.625	0.866	0.707	0.411
ტრანზიტორ ული იშემიური შეტევა	r	-0.020	-0.012	-0.007	0.070	0.052	-0.012	0.070
	p	0.685	0.805	0.887	0.161	0.296	0.805	0.161
გადატანილი მმი	r	-0.027	-0.046	-0.060	-0.009	0.017	-0.046	-0.064
	p	0.583	0.356	0.226	0.858	0.737	0.356	0.199
გადატანილი PCI	r	-0.007	-0.004	-0.002	-0.009	-0.011	-0.004	-0.009
	p	0.887	0.931	0.960	0.850	0.824	0.931	0.850
გადატანილი შუნტირება	r	-0.007	-0.004	-0.002	-0.009	-0.011	-0.004	-0.009
	p	0.887	0.931	0.960	0.850	0.824	0.931	0.850
გადატანილი ფიბრილაცია	r	0.111*	-0.022	-0.013	0.007	0.040	-0.022	0.120*
	p	0.026	0.655	0.797	0.885	0.427	0.655	0.016
მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია	r	0.136**	0.123*	-0.021	0.107*	0.067	0.123*	0.069
	p	0.006	0.014	0.670	0.032	0.179	0.014	0.166
შოკი	r	0.099*	0.182**	-0.008	0.063	0.204**	0.182* *	0.063
	p	0.048	0.000	0.880	0.208	0.000	0.000	0.208
ST ელევაცია	r	0.080	0.155**	-0.009	0.206**	0.099*	0.155* *	0.126*
	p	0.111	0.002	0.861	0.000	0.048	0.002	0.011

საძილე არტერიების დაზიანება	r	-0.032	0.024	0.094	0.031	-0.005	-0.046	-0.035
	p	0.518	0.631	0.059	0.540	0.928	0.359	0.485

ინტრაოპერაციული შოკი სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: <45 - $r=0.207^{**}$; $p=0.000$; გულის უკმარისობა - $r=0.191^{**}$; $p=0.000$; სტენოკარდია $r=0.104^{*}$; $p=0.037$; ანემია $r=0.099^{*}$; $p=0.048$; ფიბრილაცია - $r=0.111^{*}$; $p=0.026$; მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია - $r=0.136^{**}$; $p=0.006$; შოკი - $r=0.099^{*}$; $p=0.048$;

თრომბოზი სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: <45- $r=0.110^{*}$; $p=0.028$; ანემია - $r=0.182^{**}$; $p=0.000$; მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია - $r=0.123^{*}$; $p=0.014$; შოკი - $r=0.182^{**}$; $p=0.000$; ST ელევაცია - $r=0.155^{**}$; $p=0.002$;

პერიოპერაციული ინფარქტი სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: 45 წელზე ნაკლებ ასაკთან - $r=0.213^{**}$; $p=0.000$.

სისხლდენასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: ალკოჰოლის ხშირი მოხმარება - $r=0.181^{**}$; $p=0.000$; დაავადების ხანგრძლივობა - $r=0.099^{*}$; $p=0.048$; მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია - $r=0.107^{*}$; $p=0.032$; ST ელევაცია - $r=0.206^{**}$; $p=0.000$;

გულის მწვავე უკმარისობასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: ასაკი <45 - $r=0.106^{*}$; $p=0.034$; მდედრობითი სქესი - $r=0.128^{*}$; $p=0.010$; გულის უკმარისობა - $r=0.098^{*}$; $p=0.049$; ანემია - $r=0.125^{*}$; $p=0.012$; შოკი - $r=0.204^{**}$; $p=0.000$; ST ელევაცია - $r=0.099^{*}$; $p=0.048$;

წინაგულების ფიბრილაციასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: - <45 ასაკი - $r=0.138^{**}$; $p=0.005$; გულის უკმარისობა $r=0.125^{*}$; $p=0.012$; ფიბრილაცია ანამნეზში - $r=0.120^{*}$; $p=0.016$; ST ელევაცია - $r=0.126^{*}$; $p=0.011$;

ცხრილი 3.4.5

კორელაციები პერიოპერაციულ გართულებებსა და პაციენტის ინიციალურ
მახასიათებლებს შორის(2)

	n	პნევმონია	პლევრიტი	ინსულტი	ფილტვისმიერი გართულებები	თირკმლის უკმარისობა
სასწრაფო	r	0.028	-0.055	-0.028	-0.024	-0.068
	p	0.574	0.268	0.581	0.628	0.174
რაოდენობა	r	-.107*	-0.009	0.080	-0.017	-0.008
	p	0.032	0.860	0.109	0.735	0.876
<45	r	-0.014	0.089	-0.012	0.061	-0.029
	p	0.777	0.074	0.815	0.223	0.563
45-60	r	0.021	-0.023	0.066	-0.014	-0.050
	p	0.674	0.644	0.183	0.773	0.320
61-75	r	-0.032	0.000	-0.050	-0.018	0.040
	p	0.520	0.992	0.316	0.724	0.419
>75	r	-0.012	-0.023	-0.011	-0.044	-0.028
	p	0.817	0.647	0.819	0.384	0.573
მდედრობითი სქესი	r	0.030	0.064	-0.027	-0.022	-0.019
	p	0.552	0.201	0.584	0.656	0.706
უმაღლესი განათლება	r	-0.009	0.096	-0.011	0.035	0.069
	p	0.860	0.055	0.824	0.490	0.166
დასაქმებული	r	-0.057	-0.022	-0.011	0.035	0.069
	p	0.251	0.655	0.824	0.490	0.166
სოც.დაუცველი	r	0.027	-0.031	-0.016	0.085	-0.039
	p	0.583	0.530	0.754	0.087	0.440

სტრესული სამუშაო	r	-0.051	-0.020	-0.010	-0.069	-0.024
	p	0.311	0.693	0.844	0.167	0.628
თამბაქოს მოხმარება	r	0.090	-0.033	-0.016	-0.007	-0.040
	p	0.073	0.511	0.744	0.885	0.420
ალკოჰოლის ხშირი მოხმარება	r	0.066	-0.025	-0.013	0.080	-0.031
	p	0.190	0.614	0.801	0.110	0.535
გენეტიკური დატვირთვა	r	0.096	-0.027	-0.013	0.033	-0.033
	p	0.056	0.591	0.789	0.506	0.509
გულის უკმარისობა	r	0.090	0.062	-0.081	0.074	0.076
	p	0.072	0.215	0.105	0.139	0.128
სტენოკარდია	r	-0.050	-0.032	0.037	0.005	0.004
	p	0.321	0.523	0.465	0.914	0.939
შაქრიანი დიაბეტი	r	0.034	-0.060	-0.030	-0.027	0.020
	p	0.491	0.233	0.553	0.588	0.686
ჭარბი წონა	r	0.041	-0.029	-0.014	0.018	0.041
	p	0.408	0.562	0.773	0.717	0.409
არტერიული ჰიპერტენზია	r	0.068	-0.018	0.106*	-0.021	0.102*
	p	0.174	0.722	0.034	0.676	0.042
თირკმლის უკმარისობა	r	-0.022	-0.009	-0.004	0.062	0.228**
	p	0.655	0.862	0.931	0.213	0.000
ფქოლ	r	-0.022	-0.009	-0.004	0.062	-0.011
	p	0.655	0.862	0.931	0.213	0.831

დისლიპიდემია	r	0.194**	-0.005	-0.002	0.142**	-0.006
	p	0.000	0.920	0.960	0.004	0.902
ანემია	r	-0.039	-0.015	-0.008	0.109*	-0.019
	p	0.436	0.762	0.880	0.030	0.710
დაავადების ხანგრძლივობა(წე ლი)	r	0.158**	0.059	0.055	0.096	0.052
	p	0.002	0.235	0.275	0.056	0.296
გადატანილი ინსულტი	r	-0.006	-0.022	-0.011	0.040	-0.027
	p	0.905	0.664	0.829	0.428	0.594
ტრანზიტორული იშემიური შეტევა	r	0.258**	-0.014	-0.007	0.178**	-0.018
	p	0.000	0.775	0.887	0.000	0.726
გადატანილი მმი	r	0.003	-0.070	-0.060	-0.019	-0.065
	p	0.954	0.159	0.226	0.707	0.190
გადატანილი PCI	r	-0.013	-0.005	-0.002	-0.018	-0.006
	p	0.797	0.920	0.960	0.726	0.902
გადატანილი შუნტირება	r	-0.013	-0.005	-0.002	-0.018	-0.006
	p	0.797	0.920	0.960	0.726	0.902
ფიბრილაცია	r	0.019	-0.026	-0.013	0.042	-0.032
	p	0.704	0.606	0.797	0.404	0.526
მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია	r	0.118*	-0.043	-0.021	0.071	0.004
	p	0.018	0.392	0.670	0.156	0.932
შოკი	r	0.031	-0.015	-0.008	0.055	-0.019
	p	0.540	0.762	0.880	0.274	0.710
ST ელევაცია	r	-0.045	-0.018	-0.009	0.032	0.099*

	p	0.366	0.725	0.861	0.520	0.047
სამილე არტერიების დაზიანება	r	-0.087	0.068	0.094	-0.012	-0.065
	p	0.083	0.173	0.059	0.808	0.192
ინტრაოპერაციულ ი შოკი	r	0.037	-0.014	-0.007	0.007	-0.018
	p	0.459	0.775	0.887	0.887	0.726
თრომბოზი	r	-0.022	-0.009	-0.004	-0.030	-0.011
	p	0.655	0.862	0.931	0.543	0.831
ინფარქტი	r	-0.013	-0.005	-0.002	-0.018	-0.006
	p	0.797	0.920	0.960	0.726	0.902
სისხლდენა	r	0.063	-0.019	-0.009	0.194**	-0.023
	p	0.204	0.703	0.850	0.000	0.640
გულის მწვავე უკმარისობა	r	0.040	0.096	-0.011	0.110*	0.166**
	p	0.427	0.055	0.824	0.028	0.001
დისსექცია	r	0.097	-0.009	-0.004	-0.030	-0.011
	p	0.051	0.862	0.931	0.543	0.831
ფიბრილაცია	r	0.063	-0.019	-0.009	0.107*	0.089
	p	0.204	0.703	0.850	0.032	0.076
პნევმონია	r	-	0.182**	-0.013	0.405**	0.053
	p	-	0.000	0.797	0.000	0.287
პლევრიტი	r	-	-	-0.005	0.206**	-0.012
	p	-	.-	0.920	0.000	0.805
ინსულტი	r	-	-	-	0.142**	-0.006
	p	-	-	-	0.004	0.902
ფილტვისმიერი გართულებები	r	-	-	-	-	0.220**

	p	-	-	-	-	0.000
--	---	---	---	---	---	-------

- როგორც ვხედავთ, პნევმონიასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: -
 სასწრაფო ჩარევა- $r=0.119^*$; $p =0.028$; შუნტის რაოდენობა - $r=0.107^*$; $p=0.032$;
 დისლიპიდემია - $r=.194^{**}$; $p =0.000$; დაავადების ხანგრძლივობა(წელი) $r=0.158^{**}$;
 $p=0.002$; ტრანზიტორული იშემიური შეტევა - $r=0.258^{**}$; $p =0.000$; მარცხენა პარკუჭის
 დისფუნქცია - $r=0.118^*$; $p=0.018$

ინსულტთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: - არტერიული
 ჰიპერტენზია $r=0.106^*$; $p =0.034$;

თირკმლის მწვავე უკმარისობასთან კორელირებს -ჰიპერტენზია - $r=0.102^*$; $p =0.042$;
 თირკმლის უკმარისობა ანამნეზში - $r=0.228^{**}$; $p =0.000$; ST ელევაცია - $r=0.099^*$;
 $p=0.047$;

ფილტვისმიერი გართულებებთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: -
 დისლიპიდემია - $r=0.142^{**}$; $p =0.004$; ანემია - $r=0.109^*$; $p =0.030$; ტრანზიტორული
 იშემიური შეტევა - $r=0.178^{**}$; $p =0.000$;

3.5. პერიოპერაციული გართულებების რისკის შეფასება შუნტირების დროს

როგორც ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, პერიოპერაციული გართულებები დაკავშირებულია პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და ოპერაციის მეთოდებთან.

ამიტომ მოვახდინეთ პერიოპერაციული გართულებების შეფასება პაციენტის ინიციალური მახასიათებლებისა და ოპერაციის მეთოდების მიხედვით.

იმ 402 პაციენტიდან, რომელთაც ჩაუტარდათ შუნტირება, პერიოპერაციული გართულება აღენიშნა 76 პაციენტს.


1 ცხრილში მოცემულია პერიოპერაციულ გართულებებთან სიხშირეები შუნტირების დროს.

ცხრილი 3.5.1

პერიოპერაციულ გართულებებთან სიხშირეები შუნტირების დროს.

	აბს	Mean	Std. Dev.
თრომბოზი	3	0.01	0.086
ინფარქტი	1	0.00	0.050
სისხლდენა	14	0.03	0.184
გულის მწვავე უკმარისობა	19	0.05	0.212
დისსექცია	3	0.01	0.086
ფიბრილაცია	14	0.03	0.184
პნევმონია	25	0.06	0.242
პლევრიტი	4	0.01	0.099

ინსულტი	1	0.00	0.050
ფილტვისმიერი გართულებები	44	0.11	0.313
თირკმლის უკმარისობა	6	0.01	0.121



დიაგრამა 3.5.1

ყველაზე მაღალი სიხშირით გამოვლინდა ფილტვისმიერი გართულებები, პნევმონია და გულის მწვავე უკმარისობა.

3.5.2 ცხრილში მოცემულია პერიოპერაციული გართულებების პრედიქტორების სტატისტიკური შეფასება შუნტირების დროს

ცხრილი 3.5.2

პერიოპერაციული გართულებების პრედიქტორების სტატისტიკური შეფასება შუნტირების დროს

	გართულების გარეშე N=326			გართულება N=76			F	p
	აბს	Mean	St. Dev.	აბს	Mean	St. Dev.		
სხმ	108	0.33	0.471	41	0.54	0.502	11.73	0.0007
სასწრაფო	77	0.24	0.425	17	0.22	0.419	0.05	0.8170
სახეობა(ვენა ან არტერია)	302	0.93	0.262	68	0.89	0.309	0.84	0.3600
დაზიანებულ არტერიების რაოდენობა	753	2.31	0.941	178	2.34	0.960	0.07	0.7885
<45	16	0.05	0.216	11	0.14	0.354	9.16	0.0026
